პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. კ. პ. ცენტ. და თბ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ხუთშაბათი
15
ნოემბერი
1934 წ.
№ 263 (4119)

დღევანდელ ნომერში

- — მუშათა მძლავრი დემონსტრაცია ვენაში.
- — საფრანგეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია.
- — ლავალის საუბარი ამხ. როზენბერგთან საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.
- — მოლაპარაკება საზღვაო შეიარაღების ირგვლივ.
- — ბელგიის მთავრობის გადადგომა.
- — იაპონიის მრეწველობის კატასტროფული მდგომარეობა.
- — კომპარტია — გერმანიის არალეგალობის წამყვანი პარტიაა.
- — ესპანეთში სამხედრო სასამართლოები განაგრძობენ მუშაობას.
- — გერმანია მოითხოვს თანასწორუფლებიანობას შეიარაღებაში.
- — უცხოეთის მუშათა დელეგაციების შეხვედრა ამხ. ლოზოვსკისთან.
- — უკრაინის მედიცინის დეკადის მონაწილეთა მიმართვა საქართველოს და უკრაინის ყველა სამეცნიერო და ხელოვნების მუშაკისადმი.

საგანგაშო ჩამორჩენა ჩაის საშემოდგომო სამუშაოებში

ათი დღეა დასავლეთ საქართველოში დგას მშვენიერი მზიანი ამინდები. ორ კვირაზე მეტია, რაც იქ მოსავლის აღებაც დამთავრდა. ასე, რომ იყო და არის ყველა შესაძლებლობა დასავლეთ საქართველოს რაიონებს დაჩქარებული ტემპებით გაეშალათ ჩაის საშემოდგომო სამუშაოები, გამოეყენებიათ სავსებით ხელსაყრელი კლიმატიური პირობები და უზრუნველეყოთ როგორც ჩაისათვის ნიადაგის მომზადების, ისე ჩაის თესლის შეგროვების და მელიორაციო სამუშაოთა გეგმების, ვადაზე შესრულება.

სინამდვილეში კი ჩვენ გვაქვს მეტისმეტად საგანგაშო ჩამორჩენა ჩაის საშემოდგომო სამუშაოების გადამწყვეტ უბანზე. ნიადაგის მომზადების წლიური გეგმა შესრულებულია 42 პროცენტით, ჩაის თესლის დამზადების გეგმა 16 პროცენტით, მელიორაციის — 67 პროცენტით, ხოლო მსუბუქი გადაბარვის — 4 პროცენტით.

ჩაისათვის ნიადაგის მომზადების მხრივ განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა **ოჩამჩირის რაიონში**, რაც სამანქანო - სატრაქტორო სადგურის დირექტორის ამხ. **აშუბას** და პოლიტგანყოფილების უფროსის **ქართველიშვილის** მხრივ საქმისადმი დაუდევრობისა და უყურადღებობის შედეგია.

გალის რაიონში, იმის გამო, რომ პარტიის რაიკომი (მდივანი ამხ. **ადამია**), თამაშობს სამუშაოების მოქალების მოტივით, თავიდანვე სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ჩაის, ნიადაგის მომზადების ტემპებს არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა.

წალენჯიხის რაიონში ჩაის სამუშაოების ჩამორჩენას სიმინდის აღების მიმდინარეობით ხსნიდნენ, მოსავლის აღება იქ 15 დღეა, რაც დამთავრდა. ჩაის საშემოდგომო სამუშაოები კი კვლავ დაუშვებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ მავნე დემობილიზაციური განწყობილება, რომელიც ადგილებზე შენიშნული იყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში, კიდევ გრძელდება.

ზოგიერთნი ივიწყებენ, რომ ჩაი არის მრავალწლიური სათუთი სუბტროპიკული კულტურა, რომელიც მოითხოვს ფხიზელ მეთვალყურეობას, მოვლას და დაცვას მთელი წლის განმავლობაში; ივიწყებენ, რომ ჩაის მოსავლიანობის კიდევ უფრო გადიდება მომავალი წლისათვის პირდაპირ დამოკიდებულია ისეთი საშემოდგომო სამუშაოებისაგან მიმდინარე წელს, როგორიცაა მსუბუქი გადაბარვა, სასუქის შეტანა, პლანტაციების დროული რემონტი, მელიორაცია და სხვ.

ამ მდგომარეობის გაგრძელება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პარტიის მიერ მოცემული საბრძოლო ამოცანა ჩაის მოსავლიანობის გადიდების დარგში გვავალებს გადაჭრით გავაძლიეროთ ბრძოლა ჩაის კულტურის შემდგომი დაუფლებისათვის.

კონკრეტულად ახლა საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ჩაისათვის ნიადაგის მომზადებისა და ჩაის თესლის შეგროვების დასაჩქარებლად. რაც შეეხება სამელიორაციო სამუშაოებს, აქ ვადის არავითარ გაგრძელებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, საჭიროა ამ სამუშაოების მაქსიმალურად დაჩქარება, რადგანაც დღეებია დარჩენილი მოცემული ვადის გასვლამდე.

ჩაის საშემოდგომო თესვა მოახლოვდა. ახლა საჭიროა სათანადო ზომების მიღება ჩაის დასათესად უკვე გადაბრუნებულ ნიადაგის მოსამზადებლად (გაფხვიერება, შემოღობვა, ჩხირების დამზადება, სადრენაჟო კვლების გაყვანა).

ყველა ამ სამუშაოების დროულად შესრულება მოითხოვს ჩაის რაიონების პარტორგანიზაციებისა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა მხრივ მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაციას.

პირველ რიგში აუცილებელია იმ დემობილიზაციური და შესვენების განწყობილებათა ძირშივე აღკვეთა რომელიც უკანასკნელად იჩენდა ფეხს ჩაის რაიონების უმრავლესობაში. ახლა არის ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობა ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა მასობრივად გაშლისათვის. ამას ხელს უწყობს ერთის მხრით დარები და მეორეს მხრით ის, რომ ჩაის რაიონებში დამთავრებულია მარცვლეულის მოსავლის აღება. ახლა ჩაის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ ყველა საშუალება გეგმიანად გადააჯგუფონ ძალები და უზრუნველყონ საგანგაშო ჩამორჩენის სასწრაფო გამოსწორება ჩაის საშემოდგომო სამუშაოებში.

ჩაის რაიონების პარტორგანიზაციების ვალია **უახლოეს დღეებში**, ზამთრის სუსხიანი ავდრების დადგომამდე უზრუნველყონ ჩაის სამუშაოთა დამთავრება.

◆

„კომუნისტის" ესკადრილია შენდება

ჩვენმა ინიციატივამ და ამხ. ლ. ბერიას წინადადებამ — აიგოს „კომუნისტის" ესკადრილია ხუთი თვითმფრინავის შემადგენლობით, საქართველოს მუშათა და კოლმეურნეთა მასებში ჰპოვა მხურვალე გამოხმაურება.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხაშურის, ჭიათურის და სხვ. სამრეწველო ცენტრების მუშებმა და მოსამსახურეებმა, საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელებმა, „კომუნისტის" მკითხველთა ფართო მასებმა, ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ შესანიშნავ წამოწყებას და გაიღეს კიდეც თავისი წვლილი.

უმოკლეს ვადაში — 18 დღეში — შეგროვდა ესკადრილიისათვის საჭირო თანხის დიდი ნაწილი — 200 ათასი მანეთზე მეტი. ეს ფაქტი ლაპარაკობს იმ დიდ კულტურულ-შემოქმედებით აქტივობაზე, რომელიც, ყოველდღიურად უფრო-უფრო ღვივდება საქართველოს მუშებსა და მშრომელ გლეხებში.

მაგრამ მარტო საქართველოს მშრომელთა წვლილით არ იგება ესკადრილია. საბჭოთა აზერბეიჯანის ბამბიანი მინდვრების დამკვრელებმა — კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, განჯის მუშებმა, სომხეთის მშრომელებმაც თავისი წვლილი სიხარულით გაიღეს ამ დიდი კულტურულ - თავდაცვითი მნიშვნელობის საქმისათვის და ამით ერთხელ კიდევ გამოხატეს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ის დიდი იდეა, რომელიც აკავშირებს ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებს დიადი სოციალისტური საზოგადოებისათვის ბრძოლაში.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ფულადი სახსრები ესკადრილიის ასაგებად ძირითადად მზად არის.** საჭიროა მხოლოდ შედარებით უკვე უმნიშვნელო თანხის შეგროვება და იმ თანხების განაღდება, რომელიც დღემდე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და პირებს შეტანილი აქვთ ესკადრილიის ფონდში. ამით ესკადრილიის ასაგებად მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი საფეხური უკვე განვლილი იქნება.

მაგრამ საქმე მარტო ამით არ თავდება, რომ ახლო ხანში ჩვენ გვეყოლება საკუთარი ესკადრილია საქართველოში, რომელიც ძირითადად მომსახურეობას გაუწევს სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო ცენტრებს. ესკადრილიის აგებით ჩვენ ვიწყებთ იმ დიდ მუშაობას, რომელიც ფართოდ უნდა გავაჩაღოთ საქართველოში რესპუბლიკური, რაიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის ჰაეროდრომების მშენებლობისათვის. და სწორედ აქეთკენ მივაქცევთ ჩვენ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, პრესის და საზოგადოებრიობის ყურადღებას.

ამ მიზნით რაიონებს შორის ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, რომ კიდევ უფრო გავზარდოთ ამ საქმით დაინტერესება. განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ამ მხრივ რესპუბლიკურმა, რაიონულმა და პოლიტგანყოფილებათა გაზეთებმა. მათ უნდა იკისრონ შეჯიბრების ინიციატორობა და ფართოდ გააჩაღონ კამპანია აეროდრომების მშენებლობისათვის.

ის რაიონი, რომელსაც სურს გამოსვლის დღესვე მიიღოს ცენტრალური გაზეთები, — ამას კი დიდი კულტურულ - პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, — სურს სწრაფად დაუკავშირდეს ცენტრს და იქონიოს საჰაერო გზა, ახლავე უნდა შეუდგეს ამ მუშაობას. გამოიყენოს ამ საქმეში მოწინავე რაიონების (ქუთაისი, ზესტაფონი) გამოცდილება და თვალსაჩინო მიღწევებით ამ დარგშიაც შეხვდეს საქართველოს საბჭოების მორიგ ყრილობას.

დაწყებული მუშაობა „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებად უნდა გადავაქციოთ სისტემატიურ, გეგმაშეწონილ და ყოველდღიურ ბრძოლად საბჭოთა ავიაციის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, საჰაერო გზების, ჰაეროდრომების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის. რომ რესპუბლიკის ცის კამარას ასობით და ათასობით ითამაშებოდეს სოციალიზმის ფოლადის არწივები, რომელთაც თავისი გმირობით არაერთხელ ასახელეს საბჭოების დიდი ქვეყანა, რომ სამშობლო გახდეს კიდევ უფრო კულტურული, ლამაზი და თავდაცვისუნარიანი, რომ ჰაერიც ისე დავიპყროთ, როგორც ვიპყრობთ დედამიწას.

უცხოეთის მუშათა დელეგაციები მოსკოვში

მოსკოვი, 13 ნოემბერი. უცხოეთის მუშათა 140 დელეგატი, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვში ოქტომბრის დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად, მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში.

მოსკოვში დელეგატები გაეცნენ მოსკოვის ფაბრიკებს და ქარხნებს სტალინის სახელობის ავტოქარხნის ერთერთი დამკვრელი მუშის ბინაზე გადაღებულ იქნა ხმოვანი ფილმი — „ინგლისის მუშათა დელეგაციის საუბარი ქარხნის დამკვრელებთან".

11 ნოემბერს დელეგატები მიიღო პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ.

საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 13 სექტემბერი. პარიზში შესდგა დეპუტატთა პალატის სხდომა. პრემიერმა ფლანდენმა გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია. სენატში დეკლარაცია გამოაქვეყნა იუსტიციის მინისტრმა პერნომ. დეკლარაცია აცხადებს, რომ ზავი გრძელდება და მოითხოვს „გაერთიანებას მოქმედებისათვის და მოქმედების გაერთიანებისათვის საფრანგეთის და რესპუბლიკის სასარგებლოდ". დეკლარაციაში ნათქვამია:

„საფრანგეთს სურს მშვიდობიანობა. ჩვენ მას მხარს დავუჭერთ საფრანგეთის გარეთაც და შიგნითაც. ჩვენ გვინდა ძლიერი ვიყოთ იმათ წინაშე, ვინც შეეცდებოდა საგარეო და საშინაო მშვიდობიანობის დარღვევას. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს საკავშირო და მეგობრულ ურთიერთობას. ჩვენ განვამტკიცებთ ნაციონალურ თავდაცვას და საერთაშორისო უფლებაში დავიწყებთ სამართლიანობის ძებნას ერთალიგას მეშვეობით. ჩვენ დავიცავთ რესპუბლიკას ყოველგვარი რევოლუციური და დიქტატორული ზრახვებისაგან. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების ავტორიტეტის აღდგენა და დასძენს, რომ მთავრობის სტაბილობა შესაძლებელია მხოლოდ ამ ავტორიტეტის დაცვის პირობებში.

მიუხედავს რა ღუმერგს მართებულს, მთავრობა უცხადებს პარლამენტს, რომ მიღებულია პარლამენტის ინიციატივის საგრძნობი შეზღუდვა ხარჯების, ბიუჯეტისათვის სწრაფი კენჭისყრის და ისეთი კანონების მიღების სფეროში, რომლებიც აწესრიგებენ მსვლელობის და მანიფესტებს და კრძალავენ იარაღის შენახვას სათანადო ნებართვის „მიუღებლად. „რესპუბლიკური სახელმწიფო,—ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში,—არ მოახდენს კაპიტულაციას იმ ჯგუფების წინაშე, რომლებიც მიზნად ისახავენ პოლიტიკური გადატრიალების მოხდენას".

სახელმწიფო მოსამსახურეთა სტატუტი დაწესებული იქნება ამ საქმეში დაინტერესებულებთან თანამშრომლობით.

„რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ უმუშევრობას და საქონელბრუნვის დაცემას, როგორც საფრანგეთის შიგნით, ისე სხვა ქვეყნებთან თანდათან დავუბრუნდებით ორგანიზაციულ თავისუფლებას, რომელსაც კონტროლს გავუწევთ და დავიცავთ". საფრანგეთის სახალხო მეურნეობისათვის ხელსაყრელ ღონისძიებათა მიღების გარდა, „გავაფართოვებთ საერთაშორისო მოლაპარაკებას იმ მიზნით, რომ მოვახდინოთ ვალუტის სტაბილიზაცია და დავანგრიოთ ვაჭრობის ზღუდეები".

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ საჭიროა კვლავ ჩავუნერგოთ ხალხს ნდობა და ამ მიზნით გამოვუცხადოთ მეჯლისმების ნდობა, რომელიც შეთავსებული იქნება თავისუფალ დისკუსიასთან. მთავრობა აგრეთვე მოითხოვს, რომ საგრძნობლად იქნას განსაზღვრული პალატაში შესატანი საკითხების რიცხვი. დეკლარაცია თავდება მოთხოვნით, რომ ყველა პატივისცემით მოეპყრას ზავს (ადს).

ახალი ომის საფრთხე

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც 11 ნოემბერს გამოვიდნენ მსოფლიო ომის დროს დადებული დროებითი ზავის წლისთავის დღესასწაულზე, აღნიშნავდნენ ახალი ომის საფრთხეს. სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ვუდრინგმა და სხვ. მხარი დაუჭირეს ფართო სამხედრო მზადებას. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ფილიპსმა დაგმო ზოგიერთი ქვეყნის „ვიწრონაციონალისტური მისწრაფებანი" (ადს).

—○—

ტყვიამფრქვევები ვენის ქუჩებზე

პრაღა, 13 ნოემბერი. მიღებული ცნობებით, 12 ნოემბერს, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ მუშათა მძლავრი დემონსტრაციების გამო, რომელმაც ვენის მოსახლეობის ფართო წრეების აშკარა სიმპატიები გამოიწვია, მთავარ ქუჩებს, მთავრობის დაწესებულებებს და მინისტრთა ბინებს **შემოავლეს მავთულის ხლართები და იცავდნენ ტყვიამფრქვევებით. სამხედრო ნაწილები ყაზარმებში საომრად იყვნენ გამზადებული.** გამოსვლების „თავიდან აცილების მიზნით" დააპატიმრეს დაახლოებით 400 კაცი. მაგრამ პოლიცია უმწეო აღმოჩნდა დემონსტრანტების წინაშე, რომლებიც ერთსა და იმავე დროს გამოვიდნენ ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში. საერთოდ მიტინგებს — და კრებებს რამდენიმე ათეული ათასი კაცი დაესწრო.

ველერსდორფის საკონცენტრაციო ბანაკებში, აგრეთვე ვენის საპატიმროებში მოთავსებულმა კომუნისტებმა და სოციალისტებმა მოაწყვეს დემონსტრაციები და მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს (ადს).

—○—

სამხედრო სასამართლოები განაგრძობენ მუშაობას

პარიზი, 13 ნოემბერი. ესპანეთიდან იუწყებიან, რომ იქ ახალი სასიკვდილო განაჩენები გამოუტანეს იმ მეზღვაურებს, რომლებსაც ბრალს სდებდნენ აჯანყებულ მუშებთან ურთიერთობაში. სამხედრო სასამართლომ ერთ მეზღვაურს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, ხოლო მეორეს 19 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სხვა „მეამბოხე" მეზღვაურებს და ჯარისკაცებს მიესაჯათ პატიმრობა 9-დან 2 წლამდე. (ადს).

პარიზი, 13 ნოემბერი. „ლუმანიტე" ათავსებს საუბარს ავსტრიელ რევოლუციონერთან, რომელმაც მოახერხა ესპანეთიდან წამოსვლა. უცხოეთის ლეგიონის ჯარისკაცები დადიან „საეჭვო პირთა" სახლებში და მიყავთ ისინი მთებში, სადაც ხვრეტენ მათ. ჯალათები აიძულებენ მსხვერპლთ წინასწარ გათხარონ თავისთვის საფლავები. ესპანეთის მთავრობა საპატიმროებში ამწყვდევს დაჭრილ რევოლუციონერებს და არ უწევს მათ საექიმო დახმარებას. (ადს).

—○—

მარსელში მომხდარი მკვლელობის გარშემო

ვენა, 13 ნოემბერი, ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ რომიდან გეზბეშის დაბრუნების შემდეგ, უნგრეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა იმ როლის გამოძიების შედეგების შესახებ, რომელიც ითამაშეს მარსელის ამბებში უნგრეთში მცხოვრებმა ხორვატელმა ემიგრანტებმა. ცნობაში აღნიშნულია, რომ მრავალი ასეული პირის დაკითხვიდან გამოირკვა, რომ „არც ერთ დაკითხულ პირს, აგრეთვე იმათაც, ვინც დაპატიმრებული იყო, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მარსელის ამბებთან".

უნგრეთის ცნობა გამოქვეყნდა სწორედ იმ დროს, როცა გამოქვეყნდა იტალიის ცნობა საფრანგეთის ხელისუფლების მოთხოვნით დაპატიმრებულ, ხორვატელთა „უსტაშების პარტიის" ბელადის ბუდაკის დაკითხვის შესახებ. იტალიის ცნობა ამტკიცებს, რომ ბუდაკი 7 ოქტომბრამდე იმყოფებოდა გერმანიაში, ხოლო თავდასხმის წინა დღით გაემგზავრა იტალიაში. (ადს).

—□

პოლონური წიგნის დაკნინება

ვარშავა, 13 ნოემბერი. „კურიერ პოლსკი" შეშფოთებულია პოლონური წიგნის და პრესის მეტისმეტი დაკნინებით. გარდა იმისა, რომ მასები არ ყიდულობენ წიგნებს, ვინაიდან ვერ პოულობენ მათში პასუხს საჭირბოროტო კითხვებზე, გაზეთი აღნიშნავს, რომ ძასები დაინებით და გეგმაშეწონილად არ კითხულობენ გაზეთებსაც კი, რომლებიც ყველგან როდი წარმოადგენენ პირველი მოთხოვნილების საგანს. „ჩვენ უკანასკნელ ადგილს ვიჭერთ კულტურულ ხალხთა შორის" — დაასკვნის გაზეთი. (ადს).

კომპარტია გერმანიის არალეგალობის წამყვანი პარტიაა

ბერლინი, 13 ნოემბერი. „ვესტდოიჩერ ბეობახტერი" როგორც სასამართლო, ისე საპოლიციო ორგანოების ცნობების თანახმად, იძულებულია აღნიშნოს, რომ გერმანიის კომპარტია განაგრძობს არალეგალურ მუშაობას და დიდ შიშს გვრის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

გაზეთი აცხადებს, რომ სწორედ კომპარტია წარმოადგენს გერმანიის არალეგალობის ძირითად წამყვან პარტიას და რომ არალეგალური ორგანიზაციების მთავარ კადრებად რჩებიან ძველი, „პარტიულ და პროფკავშირულ მუშაობაში გაჭაღარავებული მუშები, რომლებსაც მიყვება ახალგაზრდობა". „ხუთეულთა" არალეგალური ჯგუფები, წერს გაზეთი, იკრიბებიან კერძო ბინებზე, ისმენენ რადიოს, საზღვარგარეთელ ცნობებს გერმანიის ამბების შესახებ, კითხულობენ საზღვარგარეთელ და ემიგრანტულ გაზეთებს, ღებულობენ ჰექტოგრაფირებულ გამოცემებს გასავრცელებლად.

„ხუთეულები" ცენტრიდან ღებულობენ დირექტივებს ზეპირი პროპაგანდის შესახებ. (ადს).

⁂

გადადგა ბელგიის მთავრობა

პარიზი, 13 ნოემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, გადადგა ბროკვილის მთავრობა. კრიზისის ძირითადი მიზეზია—უთანხმოება 1935 წლის ბიუჯეტის ბალანსის გამოყვანის საკითხში. ამ ბიუჯეტში განსხვავება შემოსავალსა და გასავალს შორის მილიარდ ნახევარ ფრანკს აღწევს. (ადს).

*

გენერალური შტაბების შეთანხმება

პარიზი, 13 ნოემბერი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის გენერალურ შტაბებს შორის დაიდვა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს საჰაერო ძალების საერთო გამოყვანას საჭიროების შემთხვევაში (ადს).

პლებისციტის წინ საარის ოლქში

არავითარი ვალდებულებანი

პარიზი, 13 ნოემბერი. როგორც პერტინაქსი იუწყება, ლავალმა გერმანიის პარიზელ ელჩთან კესტერთან საუბრის დროს განუცხადა ამ უკანასკნელს, რომ „თუ მთავრობის კომისია საარბრიუკენში მოითხოვს საფრანგეთის დამხმარებას წესრიგის დასაცავად, საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს შესაძლებლობის ფარგლებში არ ისარგებლოს სხვა ძალებით, გარდა პოლიციისა. მაგრამ ამ განზრახვის გამოთქმა არ ნიშნავს რაიმე ვალდებულებათა აღებას". (ადს).

—○—

მოლაპარაკება საზღვაო შეიარაღების ირგვლივ

ხელშეკრულებას ექნება „ჯენტლმენური შეთანხმების" ხასიათი

ლონდონი, 13 ნოემბერი. გაზეთ „ობსერვერის" გადმოცემით, ინგლისის წარმომადგენლებმა 7 ნოემბერს იაპონიის დელეგაციას გადასცეს წინადადება, რათა საზღვაო შეიარაღების ხელშეკრულებაში არ იქნას მოხსენებული შეიარაღების პროპორციები და რომ მას ჰქონდეს ხასიათი „ჯენტლმენური შეთანხმებისა" მშენებლობის შეზღუდვის შესახებ დაწესებული ფარგლებით. იაპონია უნდა დაეთანხმოს გემების ტონაჟის, აგრეთვე ზარბაზნების ყალიბის შეზღუდვაზე. ამ წინადადების გადაცემის ამბავი ინგლისის წარმომადგენლებმა ამერიკის დელეგაციას აცნობეს, იაპონიის დელეგაციისათვის მისი გადაცემას ერთი დღის შემდეგ. (ადს).

ინგლისის პოზიცია საბოლოოდ გამოირკვა

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისელებმა საბოლოოდ გამოამჟღავნეს თავისი პოზიცია, ისინი მხარს უჭერენ იაპონიის მოთხოვნებს საზღვაო შეიარაღების საკითხებში. კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისმა აშკარად დაგვანახვა, რომ მას სურს უზრუნველჰყოს იაპონიის თანასწორობა შეიარაღებაში. დაიმსხვრა ილუზიები იმის შესახებ, რომ ლონდონი მხარს დაუჭერს ვაშინგტონს საზღვაო შეიარაღების ძალთა ახლანდელი განაწყობილების შენარჩუნების საქმეში. (ადს).

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ

ლონდონი, 13 ნოემბერი. ერთერთ თეატრში გაიმართა კრება, რომელიც მიძღვნილი იყო მსოფლიო ომის დროს დადებული დროებითი ზავის დღისადმი. კრება მოაწყო ქალთა საერთაშორისო ანტისაომარ და ანტიფაშისტურმა კომიტეტმა პროტესტის გამოსაცხადებლად იმპერიალისტური ომისათვის მზადების წინააღმდეგ.

ოქსფორდში ანტისაომარ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათასმა სტუდენტმა და მუშამ. შემდეგ გაიმართა მთლიანი ფრონტის მიტინგი. (ადს).

—○—

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ლავალის საუბარი როზენბერგთან

პარიზი, 13 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა როზენბერგმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ლავალი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. ჰავასის სააგენტოს ცნობით საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აღმოსავლეთის პაქტის პროექტს. (ადს).

—○—

რიბენტროპის განცხადება

პარიზი, 13 ნოემბერი. პარიზის გაზეთებს მოჰყავთ იმის დაწვრილებითი ცნობები, თუ რა მისია აქვს დაკისრებული რიბენტროპს ინგლისში. კერძოდ, „პარი მიდის" ცნობებით, რიბენტროპი ინგლისის მინისტრების წინაშე აყენებს შემდეგ დებულებას: გერმანიის მთავრობა არ სთვლის თავისთავს შებოჭილად ვერსალის ხელშეკრულების სამხედრო მუხლებით, ვინაიდან დანარჩენმა სახელმწიფოებმა არ შეასრულეს იმავე ხელშეკრულების ვალდებულებანი განიარაღების შესახებ. ამიტომ გერმანიას განზრახვა აქვს გამოცხადებითი წესით მიიღოს შეიარაღების არა მარტო ფორმალური, არამედ ფაქტიური თანასწორობის უფლებაც. ამ დაკმაყოფილების მიღების შემდეგ გერმანია მზად იქნება დაბრუნდეს ერთა ლიგაში, აგრეთვე განიარაღების კონფერენციაზე და გადასინჯოს თავისი ოფიციალური პასუხი აღმოსავლეთის პაქტის გამო (ადს).

სასტიკით მოვემზადეთ შევხვდეთ თოვლის სტიქიას

„პრავდა"-ს მოწინავე 14 XI

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ თავის დადგენილებაში, რომელიც გამოქვეყნდა „პრავდაში, აღნიშნავს, რომ არასაკმაო რკინისგზების მზადება თოვლის ნამქერებთან საბრძოლველად. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ზამთრის ტვირთზიდვის წარმატება, მიუხედავად გზათა სახალხო კომისარიატის მრავალრიცხოვანი ბრძანებებისა და ცირკულარებისა ზამთრისათვის მზადების შესახებ, არ შეიძლება ჩაითვალოს უზრუნველყოფილად. ბევრი რკინისგზელი სამეურნეო მუშაკი ზამთრის მიმართ განწყობილია უდარდელად და გულგრილად, ხოლო პოლიტგანყოფილებები ამ მავნე და დაუშვებელ მოდუნებას გულცივად უყურებენ და ივიწყებენ, რომ მათ პარტიულ მოვალეობას შეადგენს გამოამჟღავნონ ასეთი განწყობილებანი, როგორც ოპორტუნიზმი პრაქტიკაში, და დარაზმონ ადამიანები იმისათვის, რომ მოემზადონ თოვლის სტიქიასთან საბრძოლველად.

სახალხო კომისართა საბჭო მიუთითებს, რომ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თოვლთან ბრძოლისათვის მზადება რიაზან-ურალის, დონეცკის, სამარა-ზლატოუსტის, აღმოსავლეთ-ციმბირის, სამხრეთ აღმოსავლეთის და ომსკის გზებზე. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ გზებზე ყველაფერი მოწესრიგებულია. ჯერჯერობით არ მოიპოვება ისეთი გზა, რომლის შესახებ შეიძლებოდეს იმის თქმა, რომ იგი სავსებით მომზადებული ხვდება თოვლის სტიქიას.

ზოგიერთ გზებზე ასე მსჯელობენ: თოვლთან ბრძოლა არ არის რთული საქმე, აქ არავითარი ტექნიკის დაუფლება არაა საჭირო, მოვა თოვლი, დავუძახებთ კოლმეურნეებს, დავდგამთ ფარებს, შევაგროვებთ ნიჩბებს და მორჩა და გათავდა. ზოგ გზებზე კი ცოტა სხვანაირად მსჯელობენ: თოვლთან ბრძოლა — ხახათაბალო საქმეა, მარტო ხელშეკრულებათა დადება დიდ წვალებას მოითხოვს. განა ღირს ამისთვის მოვცდეთ მნიშვნელოვან მიმდინარე საქმეებს? შეიძლება ქარბუქი წელს სრულიადაც არ იქნეს, ხოლო თუ იქნა რამე ნაირად დავაღწევთ თავს.

ამ მსჯელობათა შედეგი ერთი და იგივეა: დისტანციები ზამთარს მოუმზადებელი ხვდებიან: და გასაკვირიც არაა, რომ გზებმა ვერ გაუძლეს თოვლის პირველსავე შემოწმებას. ჩელიაბინსკის სადგურის რაიონში ოქტომბერში მოსულმა თოვლმა რამდენიმე საათით შეაჩერა მატარებლების მოძრაობა.

სახკომსაბჭოს დადგენილება უნდა გადაიქცეს იმის სიგნალად, რომ გზათა სახალხო კომისარიატმა, გზების ხელმძღვანელებმა, პოლიტგანყოფილებებმა და პარტორგებმა დაუყოვნებლივ მოამზადონ ყველაფერი, რაც კი საჭიროა თოვლის სტიქიასთან წარმატებით საბრძოლველად.

პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—თოვლთან ბრძოლის უზრუნველყოფა საჭირო მუშა-ხელით. ერთი თვის წინათ „პრავდამ" გამოაქვეყნა მასალა პოლეტაევის სადგურის რკინისგზელთა და პოლეტაევის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის რაიონის კოლმეურნეთა საუცხოვო ინიციატივის შესახებ. მათ ერთმანეთს შორის დადეს სოციალისტური ხელშეკრულება თოვლთან ბრძოლის საქმეში ტრანსპორტისათვის კოლმეურნეთა დახმარების შესახებ. ასეთ ხელშეკრულებათა შარშანდელმა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ისინი წარმოადგენენ თოვლთან ბრძოლის მუშახელით უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებას. მაგრამ პოლეტაეველთა ინიციატივას გზები სუსტად გამოეხმაურენ. მაგალითად, ავიღოთ დონეცის გზა, რომლის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილებაში სპეციალურადაა ნათქვამი, რომ იგი ეკუთვნის ისეთი გზების რიცხვს, სადაც განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება თოვლთან საბრძოლველად. არც გზის უფროსს ამხ. ლევჩენკოს, არც პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. ვანიანს არ მიუღიათ ნამდვილი ზომები იმისათვის, რომ, პოლეტაეველთა ინიციატივის საფუძველზე, გაეშალათ მუშაობა კოლმეურნეთა ჩასაბმელად თოვლთან ბრძოლის საქმეში. განსაკუთრებით უცნაურია პოლიტგანყოფილების უმოქმედობა და მისი გულგრილობა საზოგადოებრივი ინიციატივისადმი.

სახკომსაბჭომ დაავალა რკინისგზელებს პირველ დეკემბრისათვის დაამთავრონ ადგილობრივ ტერიტორიალურ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადება თოვლთან ბრძოლისათვის საჭირო მუშა-ხელისა და საჭაპანო ტრანსპორტის შესახებ და მათი შეგროვება. თავის მხრივ ადგილობრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ფართო დახმარება გაუწიონ რკინისგზებს და მისცენ მათ მუშა-ხელი და საჭაპანო ტრანსპორტის შეგროვების უპირატესი უფლება. ამგვარად, ტერიტორიალური ორგანიზაციების დახმარება ტრანსპორტზე თოვლის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ სახელმწიფოებრივ მოვალეობად იქცევა.

შემდეგი ამოცანაა ფარების და სარების მომზადება თოვლის საწინააღმდეგო ზღუდეებისათვის. მთელს ქსელზე საჭიროა 16 ნახ. მილიონი ფარი, ამჟამად კი მოგვეპოვება 14 ნახ. მილიონი, აქედან 3 ნახ. მილიონი დაზიანებულია. ახალი ფარების დამზადება და დაზიანებულთა რემონტი ჯერჯერობით მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მესამე ამოცანაა თოვლმწმენდების მომზადება და ლიანდაგის გასუფთავება ყინულისა და თოვლისაგან. არსებული თოვლმწმენდების რემონტი ძალიან გაჭიანურდა. ქარხნები საკმაო რაოდენობით ვერ ამზადებენ ახალ თოვლმწმენდებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გზათა სახალხო კომისარიატის ტულის ქარხანაში, რომელსაც მიმდინარე წელს უნდა მოეცა 20 თოვლმწმენდი, მაგრამ აქამდე არცერთი არ მოუცია.

გზათა სახალხო კომისარიატი ყოველ წელს მრავალ ათეულ მილიონ მანეთს ხარჯავს თოვლთან ბრძოლაში. ვფიქრობთ ამ გრემოებას უნდა აეძულებია გზათა სახალხო კომისარიატი მიეღო ზომები სამუშაოთა მექანიზაციისათვის, მაგრამ თოვლმწმენდების გამოყენების გარდა, არავითარი ზომები არ არის მიღებული თოვლისა და ყინულისაგან ლიანდაგის გაწმენდის მექანიზაციისათვის. უცხოეთის გზებზე იყენებენ მთელ რიგ მანქანებს, მაგრამ გზათა სახალხო კომისარიატმა არ შეისწავლა ეს გამოცდილება და არ მიჰყო ხელი მექანიზაციის სხვადასხვა ხერხის გამოძებნას, გამოცდილება ჩრდილოეთის გზის მერვე დისტანციისა, რომელმაც წარმატებით გამოიყენა ოსტატ აბაიმოვის გაუმჯობესებული თოვლმწმენდი, არ არის შესწავლილი და გავრცელებული ქსელში. გზების განკარგულებაშია კომპრესორები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ყინულის პლევმატიურ გაწმენდისათვის, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს. ანტიმექანიზატორული განწყობილებანი, მუშაობის მხოლოდ და მხოლოდ კუსტარულ მეთოდებზე იმედის დამყარება ყველაზე უფრო თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთია იმის, რომ არც რკინისგზებზე და არც გზათა სახალხო კომისარიატში სერიოზულად არ ეკიდებიან თოვლის წინააღმდეგ ბრძოლას.

ისეთი სერიოზული საქმის უგულებელყოფა, როგორიცაა თოვლის წინააღმდეგ ბრძოლა, მთელ რიგ შემთხვევებში ღებულობს ბოროტი ბიუროკრატიული წინააღმდეგობის ხასიათს. ამის მკაფიო მაგალითს იძლევა სამარა-ზლატოუსტის გზა. ამ გზას ყოველ წელს დიდ ზარალს აყენებს ქარბუქი. მიუხედავად ამისა გზა არ ღებულობს ყველა საჭირო ღონისძიებას ზამთრისთვის და ახლა სახკომსაბჭო კვლავ აღნიშნავს, რომ სამარა-ზლატოუსტის გზაზე ზამთრისათვის მზადების მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. გზის უფროსი ამხ. კოვილკინი, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ნიკულინი და სალიანდაგო დარგის უფროსი ამხ. კურენკოვი გულგრილობას იჩენენ გზის ხელმძღვანელობაში, რომლებსაც მათ ცხოვრება აძლევს, უგულებელყოფენ გზათა სახალხო კომისარიატის დირექტივებს.

თოვლის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია - ტრანსპორტის ერთ-ერთი გადაუწყვეტი ამოცანაა ზამთრისათვის მზადების დარგში ძალთა ბოლშევიკური მობილიზაციის გარეშე ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია. გზების უფროსებმა და ტრანსპორტის სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა პირადად უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა თოვლთან ბრძოლის ორგანიზაციას, არ უნდა იქონიონ მეხამეხარისხოვანი მუშაკების იმედი. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სწორედ დღეს წყდება ზამთრის პერიოდში ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის წარმატებით დამთავრების საკითხი.

ზამთარი მოახლოვებულია. ყინვები და ქარბუქი დიდხანს არ გვალოდინებს. ამხანაგო რკინისგზელებო! დაამტკიცეთ საქმით, რომ თქვენ შეგიძლიათ და შეგწევთ უნარი დაიცვათ მშობლიური სოციალისტური ტრანსპორტი თოვლის სტიქიის შემოტევისაგან.

საქართველოში ჩატარებული მედიცინის დეკადის მონაწილეთა მიმართვა

საქართველოს და უკრაინის მედიცინის მუშაკებს და მეცნიერების და ხელოვნების ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირში ხდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბები. მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ, სადაც შენდება არნახული სოციალისტური სახელმწიფო, სადაც იქმნება ცხოვრების ახალი ფორმები, სადაც იქმნება ახალი ადამიანი და ახალი კულტურა. საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის ბურჯი და ციხე-სიმაგრეა, სადაც ყოველივე კეთდება მშვიდობიანი მშენებლობისათვის, სოციალიზმის საქმისთვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, ფაშიზმის ქვეყნებში მზადდება ომი ძარცვა-გლეჯისთვის, საბჭოთა კავშირის განადგურებისათვის. ფაშიზმი ანგრევს კულტურას, ანადგურებს მეცნიერებას, სახელმწიფოდან აძევებს მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს, წვავს მეცნიერების და ლიტერატურის უდიდეს ნაწარმოებებს.

ჩვენს საბჭოთა კავშირში ახლა ხორციელდება მეორე ხუთწლედი, რომლის ლოზუნგია უკლასო საზოგადოების, ახალი კულტურული სასიხარულო ყოფაცხოვრების, ახალი ცხოვრების აშენება. სწორედ ამ ლოზუნგით მიმდინარეობს საბჭოების ახლანდელი არჩევნები.

საბჭოები—ეს ჩვენი გმირული წარსული და მომავალია, ეს ჯერ არნახული თვალწამრტაცი ჰორიზონტებით მოელვარე მომავალია. ამ არჩევნებში საბჭოთა ინტელიგენციამ უნდა მიიღოს განსაკუთრებული მონაწილეობა, უნდა გაგზავნოს საბჭოებში საუკეთესო ადამიანები, რადგან ინტელიგენციის როლი ახალ საბჭოებში მეტად საპასუხისმგებლოა. ახალი ქალაქების მშენებლობა, მათი არქიტექტურული გაფორმება, კომუნალური მეურნეობის განვითარება, მისი ტექნიკურად და ჰიგიენურად შეიარაღება, თეატრები და უნივერსიტეტები, საავადმყოფოები და მუზეუმები — ყოველივე ეს მოითხოვს საბჭოთა ინტელიგენციის უაქტიურეს მონაწილეობას საბჭოებში, არა სიტყვით, არამედ საქმით მონაწილეობას სოციალისტური ქალაქის და საკოლმეურნეო სოფლის, აყვავებული ოლქების, უმდიდრესი რესპუბლიკების მშენებლობაში.

ჩვენ, სამედიცინო დეკადის მონაწილენი საქართველოში, მოვუწოდებთ მედიცინის და მეცნიერების ყველა მუშაკს, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა მუშაკს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების არჩევნებში.

ყველამ მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, ყველანი ჩაებით აქტიურ მშენებლობაში, რადგან, რამდენად უფრო ჩქარა ვაშენებთ ჩვენ, მით უფრო სწრაფად, მით უფრო მკაფიოდ და სრულად გაიშლება ჩვენი სოციალისტური ცხოვრება და განხორციელდება მთელ მსოფლიოს პროლეტარიატის გამარჯვება.

გაუმარჯოს მეცნიერების და შრომის კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალიზმს!

გაუმარჯოს საქართველოს და უკრაინის საბჭოთა მეცნიერების მტკიცე, განუყოფელ კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

ხარკოვის სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე **ლიფშიცი**, თავმჯდომარის მოადგილენი: აკადემიკოსი **ვორობიოვი** და პროფ. **კოგან-იასნი**, საქართველოს სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე **კიკალეიშვილი**, თავმჯდომარის მოადგილენი პროფ. **მიქელაძე** და პროფ. **მუხაძე**, სრულიად უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარე აკადემიკოსი **ბოგომოლეცი**.

ინგლისი და გერმანიის თანასწორუფლებიანობა შეიარაღებაში

ლონდონი, 13 ნოემბერი. როგორც „დეილი ჰერალდი" იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი იდენი განუცხადებს გერმანიის წარმომადგენელს რიბენტროპს, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია მოიწონოს ჰიტლერის განზრახვა მოახდინოს გერმანიის სახელით ვერსალის ხელშეკრულების სამხედრო მუხლების დენონსირება, რათა დაბრუნდეს ერთა ლიგაში. ამავე დროს, გაზეთის სიტყვით, რიბენტროპს აგრძნობინებენ, რომ ინგლისის მთავრობა მზადაა განაახლოს დისკუსია გერმანიის დამატებითი შეიარაღების ოდენობის შესახებ იმ პირობით, თუ იგი დაბრუნდება ლიგაში. (ადს).

იაპონიის მრეწველობის კატასტროფული მდგომარეობა

ტოკიო, 13 ნოემბერი. გაზეთი „ნიციონიცი" წერს, რომ ერთერთი დიდი ბანკის მიერ იაპონიის მრეწველობის შესწავლამ ცხადჰყო, რომ „საქონლის გაყიდვა კლებულობს, სამრეწველო საწარმოები ამცირებენ წარმოებას, მცირდება მოთხოვნილება სასესხო კაპიტალზე ვაჭრობის და მრეწველობის მხრით. ამავე დროს ბანკები ძალიან ფრთხილად ეკიდებიან დიდი სესხის ყოველგვარ მოთხოვნას". იაპონიის ბანკის ცნობებით, ოქტომბერში საგრძნობლად შემცირდა ახალი კაპიტალის დაბანდება მრეწველობაში; სექტემბერში დაბანდებულ 127 მილიონი იენის ნაცვლად დაბანდებულია სულ 70 მილიონი იენი (ადს).

საბჭოთა კავშირში

პოლიმეტალური ძაღნეულის საბადოები

სტალინო, 13 ნოემბერი. ნაგოლნას მთა გრეხილის რაიონებში უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ იქნა პოლიმეტალური ლითონის მდიდარი საბადოები. გამოვლინებულია 275 ძარღვი. მადნეული ვრცელდება 1.500 კვ. კილომეტრ ფართობზე.

აღმოჩენილია აგრეთვე ტყვია-თუთიის მადნეულის მარაგი, საძიებელმა სამუშაოებმა უკვე მოგვცა 150 ტონა მადნეული. (ადს).

საბჭოთა კავშირის მრეწველობის ახალი ატლასი

მოსკოვი, 10 ნოემბერი. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა კარტოგრაფიერების სარედაქციო საბჭომ გამოუშვა საბჭოთა კავშირის მრეწველობის ახალი ატლასი. მაში შედის 64 დარგობრივი რუკა, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო მსხვილი და საშუალო მრეწველობის 17 ათასზე მეტ საწარმოს. ამაში შედიან მძიმე მრეწველობის, სატყეო მრეწველობის და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოები. ატლასი აგრეთვე იძლევა თვითეულ საწარმოს განვითარების ისტორიას. რუკები დაბეჭდილია 8—10 ფერადად (ადს).



ოქტომბრის მე-17 წლისთავის ზეიმი მოსკოვში

შუა აზიის ქვანახშირის მარაგი

ტაშკენტი, 10 ნოემბერი. ტაჯიკისტანში პამირის ექსპედიციის შედეგების გამო მოწვეულ კონფერენციაზე გეოლოგმა შაბაროვმა დამსწრეთ გააცნო უკანასკნელი ცნობები შუა აზიის ქვანახშირის მარაგის შესახებ. რევოლუციამდე უზბეკისტანში ქვანახშირი საერთოდ არ იყო აღმოჩენილი. ახლა გამორკვეულია, რომ ქვანახშირის მარაგი 3 მილიარდ ტონას აღწევს (ადს).

საქართველოს ეროვნული

პარტსწავლება—პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობა

ინსტრუქტორები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას

(ბორჯომი. „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან).

ბორჯომის რაიონში საშემოდგომო-საზამთრო პარტგანათლების ქსელის დაკომპლექტების საქმეში ზოგიერთი დამახინჯება მოხდა. მაგალითად: ლიკანის ცაკის სახელობის დასასვენებელ სახლში ჩამოყალიბებული იყო დაწყებითი პოლიტსკოლა. მაგრამ პირველი მეცადინეობის ჩატარების შემდეგ გამოირკვა, რომ მსმენელთა თეორიული მომზადების დონე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ამას მოითხოვდა დაწყებითი სკოლის პროგრამა. ამის გამო იძულებული გახდენ ეს სკოლა გადაეკეთებიათ საკანდიდატო პოლიტსკოლად. ასეთივე გარემოება იყო ელექტროსადგურისა და პურის ქარხნის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

2 ნოემბერს ქალაქად და სოფლად ჩატარდა პოლიტსკოლების მეცადინეობა. აღსანიშნავია, რომ ამ მეცადინეობის შედეგებზე რაიკომში 5 ნოემბრისათვის არავითარი ცნობები არ მოეპოვებოდათ.

რაიონის მუშაკები პარტკაბინეტის მოვალეობაში ვერ ერკვევიან. ამიტომ არის, რომ აქ პარტკაბინეტს აკისრებენ მსმენელთა დასწრების აღრიცხვას. პარტკაბინეტზე, როგორც პარტიული სწავლების ლაბორატორიაზე, აქ ლაპარაკიც მეტია. იგი გადაქცეულია პოლიტსწავლების მიმდინარეობის შესახებ ცნობების შემკრებ ორგანოდ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. არჩ. ბოჟაძე ამბობს: — თუ მეცადინეობის შესახებ ცნობა გინდათ, პარტკაბინეტის გამგეს მიმართეთ".

საქმე ისაა, რომ არც პარტკაბინეტში აღმოჩნდა ამომწურავი ცნობები. მის განკარგულებაში არსებული ნაწილობრივი მასალა იმას ადასტურებს, რომ საშემოდგომო-საზამთრო პოლიტსწავლების საქმე რაიონში კარგად ვერ არის დაყენებული. რაიკომის ინსტრუქტორებს ამ საქმისთვის ჯერ კიდევ არ მოუქცევიათ სათანადო ყურადღება, პარტიის წევრთა ყურადღება საკმაოდ არ არის გამახვილებული მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლებაზე, პარტგანათლების სკოლებში დისციპლინა მოისუსტებს და სხვ., მაგალითად: საკასრე ქარხანაში (პარტკომის მდივანი: ვ. ჭყოიძე) არსებობს სამი სხვადასხვა ტიპის პარტგანათლების ერთეული 101 მსმენელით. მათ შორის 2 ნოემბერს მეცადინეობას დაესწრო 82 მსმენელი. **შუშის ქარხანაში** (პარტკომის მდივანი **ფ. ბალაევიჩი**) 93 მსმენელიდან მხოლოდ 70 დაესწრო. **ჩამომსხმელ ქარხანაში** (პარტკომის მდივანი **ლ. ოქონოვი**), მეცადინეობას 22 მსმენელი დააკლდა. საკურორტო სამმართველოს პოლიტსკოლაში—25 მსმენელიდან მხოლოდ 16 გამოცხადდა. კურორტმშენში მეცადინეობა ჩაიშალა. საქზატრანსის დისტანციის პოლიტსკოლაში პარტორგანიზატორი **მ. კარალენკოს** (იგივე პროპაგანდისტი) დაუდევრობით სკოლის მეცადინეობა ჩაიშალა. კარალენკომ თავი იმით იმართლა, რომ ამ დღეს ყველა მსმენელი გზაზე სამუშაოდ იყო გასული.

არც სოფლად არის სახარბიელო მდგომარეობა. მაგალითად, სოფ. **ქვაბისხევში** საკანდიდატო სკოლის მეცადინეობას 10 ნაცვლად 4 მსმენელი დაესწრო. **ს. დვირში** 18-ის ნაცვლად დაესწრო 12. წაღვერის სატყეოს პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლის ხელმძღვანელმა ამხ. ილია გელაშვილმა პარტკაბინეტს შემდეგი ცნობა მიაწოდა: 2 ნოემბერს მეცადინეობას უნდა დასწრებოდა 29 კაცი, დაესწრო —16. საპატიო მიზეზით გააცდინა ორმა, არა საპატიო მიზეზით შვიდმა". დანარჩენი 4 მსმენელი რაღა იქნა, ამაზე გელაშვილი არაფერს ამბობს. როცა ადგილზე პარტკომის მდივანს ამხ. ბარათაშვილს შევეკითხეთ მან განაცხადა: „ჩვენს პოლიტსკოლაში 26 მსმენელი ირიცხებაო". რაც შეეხება რაიკომის გეგმას იქ 47 მსმენელისთვისაა სკოლა გასაზღვრული.

ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ რაიკომის ინსტრუქტორებსა და პირველად პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებს საშემოდგომო-საზამთრო პოლიტსწავლება ჯერ კიდევ არ დაუყენებიათ ყურადღების ცენტრში.

ბორჯომის რაიონში ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული თვითეული პროპაგანდისტის, პარტიის თვითეული წევრის პასუხისმგებლობა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში.

შ. ჯიქია.

შეცდომები სწორდება

„მკერავის" № 2 ფაბრიკის პარტორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელობამ (გ. ხერუმოვი) საშემოდგომო - საზამთრო პოლიტსკოლების დაკომპლექტებაში თავიდანვე დაუშვა შეცდომა. საქმე ისაა, რომ ქარხანაში ჩამოაყალიბეს პოლიტსწავლების 14 ერთეული, მაშინ როცა საამისოდ არც საკმაოდ მომზადებული პროპაგანდისტები ჰყავთ და არც პარტიის წევრ-კანდიდატთა რაოდენობა მოითხოვდა ამდენი სკოლების ჩამოყალიბებას. ამიტომ იყო, რომ ქარხნის პარტგანათლების ქსელში გაერთიანებული იყო პარტიის 94 წევრკანდიდატი და 87 უპარტიო (93 პროცენტი), რაც ყოვლად დაუშვებელია.

ცუდი მდგომარეობა იყო ცალკე სკოლებში. მაგალითად, სომხურ საკანდიდატო სკოლაში (პროპაგანდისტი **სტეფანიანი**) 10 მსმენელიდან მხოლოდ ერთი იყო პარტიის წევრი. ასევე ქართულ საკანდიდატო სკოლაში (პროპაგანდისტი **შარაშიძე**) პარტიის 4 წევრი და 6 უპარტიო იყო გაერთიანებული. თურქულ პოლიტსკოლაში პარტიის 3 წევრკანდიდატი და 9 უპარტიო იყო და ა. შ.

უპარტიო მსმენელები ვერ გრძნობდენ საკმაო პასუხისმგებლობას, აცდენდენ სასწავლო დღეებს, რაც იწვევდა სკოლებში მეცადინეობის ხშირ ჩაშლას.

ქარხნის პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყვნენ დახურულ განმანაწილებლის მუშაკები, ეს ამხანაგები სამუშაოდან სწორედ იმ საათებში თავისუფლდებოდნენ, როცა პოლიტსკოლაში მეცადინეობა უკვე დამთავრებული იყო. ამნაირად, ისინი პარტგანათლების ქსელში მხოლოდ ფორმალურად იყვნენ ჩაბმულნი.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში პარტორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელობას მოუხდა—დაშვებული შეცდომების გამოსწორება პოლიტსკოლების რიცხვი 14-დან ათამდე დაიყვანეს, დამატებით ჩააბეს ძველი ხელმძღვანელობის მიერ სკოლის გარეშე დატოვებული პარტიის 4 კანდიდატი, დახურულ განმანაწილებლის მუშაკებისათვის ცალკე ჩამოაყალიბეს დაწყებითი პარტსკოლა.

პარტიულ კომიტეტმა გაშალა ბრძოლა გაცდენების წინააღმდეგ. თუ წინათ გამცდენებს პასუხს არავინ სთხოვდა, ახლა მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა თანდათანობით სწორდება. მაგალითად, პარტიის წევრი **გ. ხალიდოვი** სისტემატიურად არ ცხადდებოდა მეცადინეობაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტკომმა მას საყვედური გამოუცხადა და მისი საკითხი პირველად პარტორგანიზაციებში დამუშავდა, იგი სისტემატიურად ესწრება მეცადინეობას და განვლილი მასალის შეთვისებაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა.

პარტგანათლების ქსელში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პარტიულები, რომელნიც დაუდევრად ეკიდებიან თავისი თეორიული მომზადების დონის ამაღლებას. ასეთებია: **არშაკ ჩადრანოვი, ელენა პასკოვსკაია, მარიამ არუთინოვა.** ეს ამხანაგები როგორც წარმოებაში, ისე პარტგანათლების სკოლებში ჩამორჩენილად ითვლებიან. აღსანიშნავია აგრეთვე **სარქის ოგანეზოვი**, რომელიც ხშირად აცდენს მეცადინეობას და თავის გასამართლებლად უპასუხისმგებლოდ გაიძახის: დამავიწყდა, გუშინ რომ მეცადინეობა იყო, სულ არ ვიცოდიო. პარტიულმა კომიტეტმა ასეთების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს.

„მკერავის" ფაბრიკაში პარტსწავლების ერთ-ერთ ხელისშემშლელია უბინაობა. სულ 8 ოთახში უნდა იმეცადინოს 10 სკოლამ, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის სულ არ აქვთ სახელმძღვანელოები სომხურ და თურქულ სკოლებისათვის. დღემდე არ მიუღიათ ენერგიული ზომები ლიტერატურის შესაძენად.

შ. ხიზულელი.

ვიზრუნოთ თვითეული კომუნისტის იდეურ შეიარაღებისათვის

(ნავთსაბურღმანქანათმშენებლობის ქარხანა)

როდესაც პროპაგანდისტი ლაპარაკობს, მსმენელები თვალებში შესცქერიან. პროპაგანდისტი დარწმუნებულია, რომ მსმენელებისათვის ყველაფერი გასაგებია.

მაგრამ მეორე მეცადინეობის დროს, როდესაც პროპაგანდისტი ამოწმებს, თუ როგორ შეისწავლეს მსმენელებმა დამუშავებული მასალები და აძლევს მათ შეკითხვებს, განვლილ თემიდან, ახლა მას მსმენელების მეტი ნაწილი თვალებში აღარ შესცქერის. ისინი თავდახრილნი და უხერხულ მდგომარეობაში, ჩავარდნილნი ცდილობენ პროპაგანდისტის შეკითხვები თავიდან აიცილონ. ირკვევა, რომ პარტგანათლების სკოლის მსმენელთა 70 პროცენტმა სრულიად არ იცის, თუ რა საკითხი დამუშავდა გასულ მეცადინეობაზე. ეს მოგონილი ამბავი როდია. ეს „ნავთსაბურღმანქანათმშენებლობის" ქარხნის (ქართულ) საკანდიდატო პარტგანათლების სკოლაში ხდება. აღნიშნული პარტგანათლების სკოლის პროპაგანდისტი (**ამხ. მეშველიანი**) შეაფიქრიანა ამ მდგომარეობამ; „ჩანს ჩემი მუშაობის მეთოდი არ გამოდგა, საჭიროა სკოლის მსმენელთა თვითმომზადებასთან შეფარდებით მეთოდის შეცვლა", — გადასწყვიტა მან და მესამე მეცადინეობიდან უკვე შეცვლილ მეთოდით შეუდგა თემის დამუშავებას. ეს მეთოდი გახლავთ საუბრისა და კითხვა-პასუხის საშუალებით ახალი თემის დამუშავება.

მაგრამ მეოთხე მეცადინეობაზე გამოირკვა, რომ მაინცდამაინც არც ამ შეცვლილმა მეთოდმა მოახდინა დიდი გარდატეხა მსმენელთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მხოლოდ ორი თუ სამი მსმენელი აღმოჩნდა, რომლებსაც ფრიად დამაკმაყოფილებლად შეეთვისებიათ დამუშავებული თემები. ამხ. **ვანო გაბაძემ** პროპაგანდისტს წარუდგინა პოლიტიკურად გამართული და მოფიქრებულად დამუშავებული კონსპექტი. მეორე მსმენელმა ამხ. **ხვადაგიანა** პროპაგანდისტის მიერ მიცემული ყველა კითხვა სწორად განმარტა.

დანარჩენები!?

ზოგი სულ არ იღებდა ხმას, ნაწილი მსმენელებისა თუმცა ცდილობდა აქტივობის გამოჩენას მაგრამ, სამწუხაროდ, იბნეოდა, რადგან ცოდნა ღალატობდათ.

პროპაგანდისტი კიდევ უფრო ჩააფიქრა აღნიშნულმა მდგომარეობამ.—რა უშლის მათ მუშაობას ხელს?!

სამეცადინო ოთახი? არის; სამეცადინო სკოლები ინვენტარითა, და ლიტერატურით უზრუნველყოფილია. ქარტები, დაფები, წიგნები, საკმაოა. მეცადინეობა სისტემატიურად თავის დანიშნულ დროზედ ტარდება, რასაც მსმენელები 100 პროცენტით ესწრებიან. თემის დამუშავების მეთოდიც აქტიურია, ცოცხალი; თითქმის ყოველგვარი პირობებია შექმნილი, იმისათვის, რომ შეთვისების ხარისხი კარგი იყოს, პროპაგანდისტმა ამხ. მეშველიანმა გვიან, მაგრამ მაინც მიაგნო ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებს.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მსმენელები პარტგანათლების სკოლის მეცადინეობის შემდეგ არ მუშაობენ თავის თავზე, მოისმენენ პროპაგანდისტის საუბარს და შემდეგ ლიტერატურით აღარ სარგებლობენ; ზოგს აღარც კი აგონდება რა თემა დაამუშავეს წინა მეცადინეობაზე და ა. შ.

პარტკომის მდივანმა მოიწვია პარტჯგუფის ხელმძღვანელთა თათბირი და მოისმინა მათი თვითანგარიში სპეციალურად იმ საკითხზე, თუ როგორ ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან ისინი კომუნისტებს პოლიტიკური მომზადების ამაღლების საქმეში.

პარტკომის უშუალო წინადადებითა და დახმარებით სუსტი მსმენელები მიმაგრებული იქნენ პოლიტიკურად უფრო მომზადებულ კომუნისტებზე. ხოლო პარტორგანიზატორებს და ჯგუფის ხელმძღვანელებს მიეცათ წინადადება, რომ მუშაობის ცენტრში დააყენონ პარტიის წევრთა აღზრდის საკითხი, თვითეულ კომუნისტს გაუწიონ სისტემატიური კონტროლი და კონკრეტულად დაეხმარონ მათი იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამ თათბირის შემდეგ პარტიულ განათლების სკოლების მსმენელთა მუშაობის ხარისხი შედარებით გაიზარდა. ამას კიდევ ხელი შეუწყო იმან, რომ პარტკომის მდივანი ყოველ მეცადინეობის წინადღით სისტემატიურად. პარტკომში უყრის თავს პროპაგანდისტებს და ამოწმებს, თუ როგორ მომზადებული მიდიან ისინი პარტგანათლების სკოლაში, აქვთ თუ არა გეგმა, ან კონსპექტი დასამუშავებელ თემაზე და სხვ.

ასეთი სისტემატიური კონტროლით და დახმარებით პარტიული განათლების საქმე ქარხანაში უმჯობესდება. ეს ითქმის ქართულ და რუსულ პარტგანათლების სკოლების შესახებ, სამწუხაროდ, ეგევე არ ითქმის სომხურ პარტგანათლების სკოლის მუშაობის შესახებ. **სომხურ პარტგანათლების სკოლას არა აქვს ლიტერატურა,** და ესაა რომ სცემს მისი მუშაობის ხარისხს. საჭიროა დაჩქარებით იქნეს შექმნილი სომხური პარტგანათლების სკოლისათვის ლიტერატურა, თუ მონდომება იქნება, ეს არ არის შეუძლებელი საქმე.

ალ. ვვინჩიძე.

რატომ აკლია რაიონებს პარტსახელმძღვანელოები

წელს პარტსახელმძღვანელოების გამოშვების საქმე შედარებით სათანადო სიმაღლეზე დგას. **ვოლინის** სახელმძღვანელო „**პოლიტცოდნა**" უკვე დაიბეჭდა 14 ათასი ტირაჟით და დაურიგდა რაიონებს. ვოლინის სახელმძღვანელო დამატებით იბეჭდება 10 ათასი. **კარპინსკის** სახელმძღვანელო „**ბრძოლა სოციალიზმისათვის**", რომლითაც დაკმაყოფილებული უნდა იქნას პარტიის და კომკავშირის სოფლის პოლიტქსელი, პარტგამომცემლობამ მიიღო მოსკოვიდან 15 ოქტომბერს. მოკლე დროში წიგნი გადაითარგმნა ქართულ ენაზე და დაიბეჭდა 30 ათასი ცალი რაც შეეხება სახელმძღვანელოებს წრეებისათვის, ისინი გამოშვებულ იქნენ ჯერ კიდევ ოქტომბრის პირველ რიცხვებისათვის. მაგალითად, დაიბეჭდა **პოპოვის—პარტისტორიის ნარკვევები** 15 ათასი, **დიალექტიკური მატერიალიზმი — მიტინის** რედაქციით—10 ათასი და ა. შ. **ბისტრიანსკის „ლენინიზმი"**, რომელიც გამოვა 20—25 ნოემბერს. დაწყებითი პოლიტსკოლებისათვის პარტგამომცემლობამ გამოუშვა დიდი ტირაჟით **სტალინის „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ"** და იბეჭდება „**ლენინიზმის საკითხებისათვის**".

მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგიერთ რაიონებს ჯერ კიდევ აკლია პარტლიტერატურა. რა არის ამის მიზეზი? ჯერ ერთი, რაიონებს პარტლიტერატურას აწვდის სახელგამი, რომელიც პარტგამომცემლობიდან, თანახმად პარტიის ცენტრალური კომიტეტის განაწილებისა, ღებულობს რაიონების კუთვნილ ნორმას. მაგრამ ერთია მიღება და მეორე მისი თავის დროზე მიწოდება რაიონებისათვის. ამ მხრივ სახელგამის აპარატი ხშირად იჩენს სრულ უპასუხისმგებლობას. პარტგამომცემლობას უხდება ყოველდღე სდიოს სახელგამის სავაჭრო განყოფილების მუშაკებს, რომ მათ დროზე წაიღონ ესათუის სახელმძღვანელო რაიონებში დაუყოვნებლივ გადასაგზავნად. მაგალითად, **ვოლინის და კარპინსკის** სახელმძღვანელოები 2—3 დღე ეწყო პარტგამომცემლობის საწყობში. და მიუხედავად იმისა, რომ სახელგამს დღეში სამჯერ ვუგზავნიდით ცნობას და ვთხოვდით ლიტერატურის წაღებას, უკანასკნელი სდუმდა ლიტერატურის მიწოდების საქმეში კი 2—3 დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა სახელგამი პარტსახელმძღვანელოებს ხშირად ვიწრო კომერციული თვალით უყურებს. რამდენიმე დღე უნდება იმის ფიქრს, ვაი თუ ვერ გავანაღდო მთელი წაღებული ტირაჟი, თუმცა ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა პარტლიტერატურაზე, პარტ-სახელმძღვანელოებზე როგორც ვიცით არც ვოლინის და არც კარპინსკის პარტსახელმძღვანელოში არ არის გამოყენებული ადგილობრივი მასალები. ამ ნაკლის შესავსებად პარტგამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „საბჭოთა საქართველო ოქტომბრის რევოლუციის 17 წლისთავზე". ამ ბროშურაში აუარებელი მასალაა საქართველოს მეურნეობის შესახებ, იგი აუცილებელია ყოველი პროპაგანდისტის და პოლიტსკოლის მსმენელისათვის. ამ გარემოებას არ გაუწია სახელგამმა ანგარიში და აღნიშნული ბროშურა წაიღო 50 რაიონზე მხოლოდ ათასი ცალი, აქიდანაც ნახევარი ტფილისში დასტოვა.

მეორე მხრივ აღსანიშნავია სახელგამის ადგილობრივი მუშაკების დაუდევრობა. ისინი ვალდებულნი არიან სახელმძღვანელოს მიღება დაუყოვნებლივ აცნობონ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. მაგრამ ხშირად ისინი ვერ ერკვევიან წიგნებში არის შემთხვევები, როცა პარტსახელმძღვანელო აწყვია სახელგამის მაღაზიაში, მაგრამ ამის შესახებ რაიკომმა არა იცის რა. უკანასკნელიც არ კითხულობს ზოგჯერ, რა ხდება სახელგამის მაღაზიაში და საგანგაშო დეპეშებს უგზავნის ცენტრალურ კომიტეტსა და პარტგამომცემლობას.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რასაც შეუძლია შეაფერხოს ლიტერატურის გაგზავნა რაიონებში. ეს არის არანორმალური დამოკიდებულება პარტგამომცემლობასა და სახელგამს შორის, ამჟამად სახელგამს მართებს პარტგამომცემლობის 120 ათას მანეთზე მეტი. პარტგამომცემლობას არ შეუძლია განუწყვეტლივ ნისიად აძლიოს სახელგამს პარტიული ლიტერატურა. სახელგამის ხელმძღვანელები კი ყურსაც არ იბერტყავენ დავალიანების დასაფარავად. დავალიანება კი დღითი დღე იზრდება და მძიმე პირობებში აგდებს პარტგამომცემლობის მთელ მომავალ მუშაობას. ამ მიზეზის გამო პარტგამომცემლობა იძულებული იქნება სახელგამს შეუწყვიტოს ლიტერატურის მიცემა. თუ ამ ორგანიზაციათა ურთიერთ დამოკიდებულება არ მოგვარდა, რაიონებისათვის პოლიტლიტერატურის მიწოდების საქმე უსათუოდ საფრთხეში ჩავარდება. სახელმძღვანელოები უპირველეს ყოვლისა ორგანიზაციულად და თავის დროზე უნდა მივაწოდოთ ადგილებს. აქ სიტყვა, პირველ რიგში სახელგამს ეკუთვნის.

დ. ვოლსკი.

(საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტგამომცემლობის გამგე).

ტფილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშები, პარტსწავლების დამკვრელები ამხ. ე. სმელოვა, არუსიაკ ზურაბოვა და შ. გაბრიელოვი

როგორ მუშაობს ინსტრუქტორი ამხანაგი ბენიაშვილი

(ქუთაისი, საკ. კორესპონდენტისა გან)

დილის 7 საათია. წერეთლის ქუჩაზე ძაფსაღებ ქარხნის მიმართულებით ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებს ქალაქკომის ინსტრუქტორი ამხ. **შ. ბენიაშვილი.** მან დღეს უნდა ინახულოს ძაფსაღები ფაბრიკა, გამოელაპარაკოს პარტორგანიზატორებს და რაც მთავარია კარგად გაეცნოს წუნის გამოშვების მიზეზებს. წუნის დიდი პროცენტი კარგა ხანია დასჩემდა ძაფსაღებ ფაბრიკას. და აი, ინსტრუქტორი იკვლევს, როგორ იბრძვის ქარხნის პარტორგანიზაცია წუნის წინააღმდეგ.

შუადღის ორ საათზე ამხ. ბენიაშვილი დაბრუნდა საქალაქო კომიტეტში. საინსტრუქტორო ოთახში ინსტრუქტორის მუშაობის ხუთდღიური გრაფიკია გამოკრული. საიდანაც ჩანს, რომ 2—4 საათამდე ინსტრუქტორი საქალაქო კომიტეტში იმუშავებს.

ექვსი თვეა ქუთაისის საქალაქო კომიტეტში პასუხისმგებელ ინსტრუქტორის თანამდებობაზე მუშაობს ამხ. **შალვა ბენიაშვილი.** მის მომსახურებაში შედის 17 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ პარტიის 420 წევრს და კანდიდატს.

— „როდესაც ინსტრუქტორის თანამდებობაზე დავიწყე მუშაობა,—ამბობს ამხ. ბენიაშვილი, — პირველად ყოვლისა მე დავინტერესდი, თუ როგორ მუშავდებოდა მე-17 პარტყრილობის მასალები ორგანიზაციულ მშენებლობის დარგში. აღმოჩნდა, რომ არცერთ ორგანიზაციას სათანადოდ არ ქონდა დამუშავებული ეს მასალები. ამიტომ ჩემი მუშაობის პირველი ნაბიჯი მიმართული იყო ყრილობის მასალების დამუშავების მასობრივ გაშლისა და მისი ღრმად შესწავლისაკენ.

პარალელურად ამ მუშაობასთან ერთად პარტორგანიზაციებში ჩავატარე პარტშემადგენლობის ზუსტი აღრიცხვა. გადავათვალიერე პარტმშენებლობის ძველი სტრუქტურა; ამასთანავე ვაწარმოებდი სამეურნეო აპარატის მუშაობის შესწავლას. ყურადღების ცენტრში კი მყავდა და მყავს პარტიის წევრები.

ძაფსაღებ ფაბრიკაში კომუნისტები თავმოყრილი იყვნენ პირველი და მეორე ბრიგადაში ხელმძღვანელ სამუშაოზე. ზოგიერთები „ამტკიცებენ", რომ მათი სხვა ბრიგადებში გადაჯგუფება არ იქნებოდა ხელსაყრელი, მაგრამ სინამდვილემ დაადასტურა გადაჯგუფების მიზანშეწონილობა, გადაჯგუფების შემდეგ შესაძლებელი შეიქმნა ცალკე ბრიგადებში პარტჯგუფების ჩამოყალიბება.

ძირეული პარტორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნამ, კადრების სწორად განაწილებამ და განმტკიცებამ გაზარდა პარტიის წევრების პასუხისმგებლობა საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულებაში.

მეორე მომენტი, რომელსაც ამხ. ბენიაშვილმა ყურადღება მიაქცია, ეს არის კომუნისტებს შორის პარტდავალებების რაციონალურად განაწილება და მათი შესრულების სისტემატიური შემოწმება. შესრულების შემოწმების ობიექტად ინსტრუქტორს აღებული აქვს კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, თვითღირებულების საკითხი, ხარისხისათვის ბრძოლა, პარტსწავლება, ქალაქკომის ცალკე დადგენილებების შესრულება და სხვა.

ამხ. ბენიაშვილი მუშაობაში უმთავრესად დამახასიათებელია საწარმოების თავისებურებათა შესწავლა, ძირეული კადრების სწორად აღრიცხვა და განაწილება.

ამხ. ბენიაშვილი სისტემატიურად მუშაობს თანამგრძნობებთან. იგი პირადად იცნობს თანამგრძნობების 90 პროც. მაინც „მათთან რამდენიმე დღე მიმუშავნია,—ამბობს იგი,—რომ კარგად შემესწავლა თვითეული პიროვნება და მათი აქტიობა წარმოებაში. ამხ. ბენიაშვილს ამასთანავე მოყავს მაუდის და ძაფსაღებ ფაბრიკების პარტორგანიზაციების მუშაობის ცუდი მაგალითები, თუ როგორ მექანიკურად აწარმოებდენ ისინი თანამგრძნობთა ჯგუფებში მიღებას. ეს დროზე შენიშნა ინსტრუქტორმა და გამოასწორა.

პარტსწავლების დარგში ამხ. ბენიაშვილი სხვა ინსტრუქტორებს შორის წინა რიგებში დგას. საზაფხულო პარტსწავლების პერიოდში ყველა ტიპის სკოლა (გარდა ქიმკომბინატის ორი წრისა) მუშაობდა ნორმალურად. ინსტრუქტორი სისტემატიურად, ესწრებოდა პარტსკოლებში მეცადინეობას, ატარებს მსმენელებში ინდივიდუალურ საუბრებს, ამოწმებს პროპაგანდისტის მიერ დამუშავებულ თემას, ახდენდა შთაგონებით ზეგავლენას იმ ამხანაგებზე, რომლებიც სისტემატიურად არ ესწრებოდენ პოლიტმეცადინეობას და სხვ.

საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანთან ინსტრუქტორი ამხ. ბენიაშვილი ყოველდღიურად არის დაკავშირებული და აძლევს ინფორმაციებს ჩატარებულ მუშაობის შესახებ. თუ საკითხი რთულია გადასაწყვეტად ინსტრუქტორისათვის, იგი წყდება ქალაქკომის მდივანთან (ან ბიუროს საშუალებით). ამ შემთხვევაში ოპერატიულობა საკითხის გადაჭრაში მაღალ დონეზე დგას. ამხ. **კორსაველი** ხშირად ამოწმებს ინსტრუქტორის მუშაობას და აძლევს მითითებას, თუ როგორ უნდა იმუშაოს მან.

ვ. ლალიაშვილი.

პარტსწავლება დაიწყო—ლიტერატურა არ არის

(თელავი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონში პარტიული სწავლება დაიწყო 14 ოქტომბრიდან. სკოლები წინასწარ დაკომპლექტებული იქნა და გამოიყო სათანადოდ მომზადებული პროპაგანდისტები. მეცადინეობის პირველი დღე მთელრიგ პარტორგანიზაციებში კარგად ჩატარდა (ქალაქის მუშათა კოოპერატივი, სარეწკოოპი და სტამბა-ელსადგური), ზოგან კი ჩაიშალა. ასე მაგ. აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში პროპაგანდისტების მოუსვლელობის გამო მეცადინეობა იშლებოდა, რომ პარტკომის მდივანს ამხ. ილია გეურქოვას თვითონ არ მოეკიდა ხელი.

არც ქალაქის და არც სოფლის პოლიტსკოლებისათვის არ არის შეძენილი საჭირო ლიტერატურა, როგორც მეთოდიური წერილები, ისე სახელმძღვანელოები. ამ მხრივ პარტკაბინეტის მუშაობა არა სდგას სათანადო სიმაღლეზე. შტატიანი პროპაგანდისტი ამხ. **ლ. ქართველიშვილი** გვწერს:—„დღემდის პარტკაბინეტს ჩვენთვის არ გამოუგზავნია ლიტერატურა და პროგრამები, რა თემები უნდა დამუშავდეს სკოლებში ისიც არ ვიცით და თვითონ ჩვენ რაიკომის შტატიანი გამსვლელი პროპაგანდისტები, მიტოვებული ვართ ყურადღების გარეშე ლიტერატურით უზრუნველყოფის მხრივ".

მართლაც ასეა. პარტკაბინეტი მეტ დროს დაკეტილია, თუნდაც დაკეტილი არ იყოს, ლიტერატურა არ მოიძებნება, რათა მსმენელებმა იმით იხელმძღვანელონ. ძირეული პროპაგანდისტებისათვის მეთოდიური დახმარების გაწევის საკითხზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

პარტკაბინეტის გამგე ამხ. ჩხიკვაძე შვებულებაში სწორედ მაშინ წავიდა, როდესაც ახლად ყალიბდებოდა პარტგანათლების ქსელი განსაკუთრებით სოფლად.

ასე, რომ ამჟამად რაიონში პარტსწავლება მიმდინარეობს ზოგადად. პროპაგანდისტი ატარებს საუბარს, რაც იცის ამა თუ იმ თემიდან, მსმენელებს კი ვერ კითხავს და ვერ მუშაობს საკუთარ თავზე სახელმძღვანელო ლიტერატურის უქონლობის გამო.

საჭიროა ამ მდგომარეობის დაუყონებლივ გამოსწორება.

არ. კოკილაშვილი.

აკ. ქაროხანიძე

საქ. კ. პ. (ბ) ხონის რაიკომის
მდივნის მოადგილე

მესაქონლეობის განვითარების გზით

საბჭოთა კავშირის ბოლშევიკების მე-17 ყრილობამ და შემდეგ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმმა გარკვეული და პრაქტიკული დირექტივა მისცა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

პარტიის უმაღლეს ორგანოს მითითებამდე ცალკე პარტიული და საბჭოური ორგანიზაციები, კიდევ მეტი—თვით ის ორგანიზაციებიც, რომელთაც უშუალოთ დავალებული აქვთ მეცხოველეობის საქმის წარმართვა, ოპერატიულად არ ხელმძღვანელობდენ მესაქონლეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი მეცხოველეობა—ან მივიწყებული ანდა თვითდინებაზე უფრო იყო დაყრდნობილი. ამ მხრივ **ხონის** რაიონი გამონაკლისს როდი წარმოადგენდა. **ხონის რაიონის** პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები ნაკლებ მზრუნველობას იჩენდენ მეცხოველეობის განვითარებისადმი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მაშინდელი კომუჯრედების მუშაობაში მესაქონლეობას უკანასკნელი ადგილიც კი არ ეჭირა. პარტიული ორგანიზაციების ამ უყურადღებობის გამო მსხვილფეხა საქონლის რიცხვი 1931 წლის 19.473 სულიდან 1934 წლის პირველ იანვრისათვის შემცირდა 17.789 სულამდის, ე. ი. სამი წლის განმავლობაში შემცირდა 1.684 სულით, ღორის—406 სულით და სხვ. ამ უკანასკნელ წლამდე არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯი მესაქონლეობის საკვები ბაზის შექმნის, ჯიშების გაუმჯობესების, საქონლის მოვლა-პატრონობის და ზოოვეტმომსახურებისათვის და სხვ.

ხონის რაიონის პარტიული ორგანიზაცია რაიონული კომიტეტის და სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით, საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის და ცეკას ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქმით შეუდგა მეცხოველეობის განვითარების პრაქტიკული საკითხების მოგვარებას.

ხონის რაიონი არ წარმოადგენს მეცხოველეობის რაიონს. დაბლობ ადგილების მცხოვრებთა მცირე მიწიანობა (თვითეულ ოჯახზე საშუალოდ მოდის 0,9—1,2 ჰექტ. მიწა) არ იძლევა ჯოგების შექმნის დიდ პერსპექტივას, საძოვრების სრული უქონლობა სერიოზულ დაღს ასვამს ხონის რაიონის დაბლობ ადგილებში საქონლის სულადობის მაქსიმალურ ზრდას, ხონის რაიონის მთიან ადგილებში კი (**გორდი, კინჩხა, ძეძილეთი, ბუმბუას ხიდი** და სხვ.) არის უდიდესი შესაძლებლობა მესაქონლეობის განვითარებისათვის. ბუნებრივი უხვი საბალახო და სათივე ადგილები საქონლის ჯოგის მოშენებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის. სამწუხაროდ, ეს პირობები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული. **გორდის და კინჩხის** პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგნენ სათავეში მესაქონლეობის აღმავლობას და ამ დარგში ვერ მიაღწიეს რეალურ შედეგებს. მაგ, **კინჩხის „კომუნისტის"** სახელობის და გორდის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმებში 1933 წელს ითვლებოდა 66 ძროხა, 27 დეკეული, 10 მოზვერი, 2 ბუღა და 9 ხბო. პარტიული ორგანიზაციების და ფერმების მეთაურთა არაოპერატიული ხელმძღვანელობის გამო 66 ძროხიდან დაუგრილებელი დარჩა 25 ძროხა. მიმდინარე წლისათვის შემცირდა, როგორც ძროხების, ისე დეკეულების რიცხვი. 1934 წლისათვის ორივე ფერმაში არის: ძროხა —63 სული და დეკეული—23. რაიონულმა კომიტეტმა, პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე. მტკიცედ მოჰკიდა ხელი მესაქონლეობის ფერმებს. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გამახვილდა ფერმებში შრომის ორგანიზაციაზე, მწყემსების პასუხისმგებლობაზე, ფერმების ხელმძღვანელობაზე და სხვ. მოხსნილ იქნენ ფერმების შეუფერებელი ხელმძღვანელები (**ფაილოძე და ჩიხლაძე**) და მათ მაგივრად შერჩეულ იქნენ მესაქონლეობის მცოდნე და ენერგიული ამხანაგები (**ჭ. კუხულაშვილი და გ. ჩიხლაძე**). პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღების ცენტრში დააყენეს ჯოგის მოვლა და ნამატის შენარჩუნება. ამ მხრივ მიღწეულია ერთგვარი წარმატება. **კინჩხის „კომუნისტის"** სახელობის ფერმამ წელს ასი პროცენტით შეინარჩუნა ნამატი 22 ხბო (მწყემსი **ერ. კუხულაშვილი**), ამასთან ახალგაზრდა ხბოების საუკეთესოდ არიან მოვლილი. ფერმას ჰყავს საუკეთესო ჯიშის ორი ბუღა. ფერმის ძროხებს გარდა (100 პროც.) ჯიშიანი ბუღების მიერ დაგრილებულია კოლმეურნეების და ერთპიროვნული მეურნეების 87-მდე ძროხა. ფერმა დამატებით ზრდის ორ ბუღას. გორდისა და კინჩხის მესაქონლეობის ფერმებში საქონლის რიცხვი, ნამატის ჩათვლით, გასულ წელთან შედარებით (114 სული) გაიზარდა 14,5 პროც. (132 სული). ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. გორდის და კინჩხის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების ყოველდღიურ საზრუნავ საქმედ გადაიქცეს ფერმებში შრომის ორგანიზაციის შემდგომი განმტკიცება, საქონლის მოვლა-პატრონობა, საქონლის ჯიშის (მეგრული ჯიში) შემდგომი გაუმჯობესება, ნამატის მთლიანად შენარჩუნება და სხვ.

ხონის რაიონული კომიტეტის და პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით მესაქონლეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში მოპოვებულია მნიშვნელოვანი მიღწევები. მაგ. 1934 წლის 1-ლ იანვრისათვის, როგორც ვთქვით, რაიონში ითვლებოდა (ფერმების გამოკლებით) მსხვილფეხა საქონელი 17.789 სული, აქედან მოზარდი საქონელი შეადგენდა 1.200 სულს. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მსხვილფეხა საქონლის რიცხვი ექვსი თვის განმავლობაში გაიზარდა 1586 სულით (10 პროც.). მსხვილფეხა საქონლის ზრდა მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ნამატის შენარჩუნებით. 1934 წლის პირველ ივნისის აღწერით რაიონში ითვლებოდა (ფერმის გამოკლებით) 2.477 ხბო. ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს მესაქონლეობის, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდა.

რაიონულმა კომიტეტმა და პოლიტგანყოფილებამ სერიოზული მუშაობა ჩაატარეს უძროხო კოლმეურნეთათვის დახმარების ხაზით. აღრიცხვით გამოირკვა, რომ რაიონში 275 უძროხო კოლმეურნე იყო. აქედან ძროხები შეიძინა 155 კოლმეურნემ. უძროხოდ დარჩა 120 კოლმეურნე. რაიონული კომიტეტის და პოლიტგანყოფილების ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ 1935 წლის 1-ლ იანვრისათვის არც ერთი კოლმეურნე არ დარჩეს უძროხოდ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქონლის ჯიშების გაუმჯობესებას, მშრომელ მოსახლეობაში გაუმჯობესებულ ჯიშის—შვიცების მეტისების ფართოდ გავრცელებას. რაიონის მთელ რიგ ადგილებში (**ხონი, ივანდიდი, ჯიხაიში** და სხვ.) ჰყავთ საუკეთესო, „ნიმკას" ჯიშის ძროხები) არტ. ტაბიძის პოლიკარპე ბახტაძეს და სხვ.), რომელნიც ყოველდღიურად იძლევიან 16—20 ლიტრა საუკეთესო ხარისხის რძეს. გარდა ამისა, რაიონში არის გაუმჯობესებული შერეული ჯიშები—მეტისები, რომლებიც საკმაოდ პროდუქტიულია. ხონის რაიონის დაბლობ ადგილებში სახნავ-სათესი მიწების სიმცირის პირობებში განსაკუთრებული სიმწვავით დგება საკითხი საქონლის ჯიშების გაუმჯობესების შესახებ. საკვების უქონლობა გლეხს საშუალებას არ აძლევს გაიჩინოს 3—4 ძროხა. საქონლის ჯიშების გაუმჯობესების მხრივ სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. რაიმიწგანს შემოღებული აქვს ჯიშიანი საქონლის სარაიონო რეესტრი, რომელშიც ჯერჯერობით შეტანილია 37 ჯიშიანი ძროხა. რეესტრში დასახელებულია, თვითეული ძროხის წლოვანება. ჯიში, პროდუქტიულობა, რომელი ჯიშის ბუღით არის დაგრილებული და როდის, რამდენ ხბოიანია და სხვ. მიმდინარე წელს სხვადასხვა რაიონიდან შემოყვანილია ჯიშიანი ბუღა —4 სული და გაუმჯობესებული ჯიშის—12 სული. წლის ბოლომდე დამატებით შემოყვანილი იქნება ათი ჯიშიანი ბუღა დუშეთის რაიონიდან და ბათომიდან. რაიონში მოწყობილი იყო დასაგრილებელი პუნქტები—გოჩაჯიხაიშში, გორდში, კინჩხაში, ხონის მესამე უბანში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოჩაჯიხაიშის და გორდის დასაგრილებელი პუნქტების მუშაობა (ბუღები შეძენილი ჰყავს ჯიხაიშის სრულ სკოლის და გორდში მესაქონლეობის ტექნიკუმს). ყველა დასაგრილებელ პუნქტში შემოღებულია სარეგისტრაციო რეესტრები, რომელშიც იწერება: ძროხის მეპატრონის სახელი და გვარი, ძროხის ჯიში, დაგრილების რიცხვი და სხვ. ჯიხაიშის დასაგრილებელ პუნქტზე მიმდინარე წლის 3 მარტს დაგრილებულ იქნა 6 ძროხა 5 მარტს 4 ძროხა და სხვ. პირველ ოქტომბრამდე სულ დაგრილებულ იქნა 91 ძროხა. ასევე გორდის და სხვ. პუნქტებში. 1-ლ ოქტომბრისათვის რაიონში ჯიშიანი ბუღების მიერ დაგრილებული იყო 981 ძროხა. ეს ნიშნავს იმას, რომ მომავალ წლისათვის რაიონში გამოიზრდება 981 ჯიშიანი ხბო. არსებული ჯიშიანი ბუღები მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ მხოლოდ 5 პროც. (რაიონში 6094 სული ძროხაა). გარდა ჯიშიანი ბუღებისა, რაიონში არის 11 სული ადგილობრივი ჯიშის ბუღა. პირველ ოქტომბრისათვის ძროხების დაგრილების გეგმა რაიონში შესრულებული იყო 88,8 პროც. ბუღების მოსაშენებლად არსებულ შეღავათებთან ერთად ბუღების მეპატრონეებს დამატებით მიეცათ მიწები საკვები ბალახების დასათესად. ჯიშიანი ბუღები უკლებლივ აყვანილია აღრიცხვაზე და ეძლევათ გაძლიერებული ულუფა (კოპტონი, სილოსი, თივა, დაღერღილი სოია და სხვ.). ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წლების განმავლობაში რაიონიდან თანდათანობით განიდევნოს უჯიშო საქონელი და მის მაგივრად დამკვიდრდეს ადგილობრივი გაუმჯობესებული, მეტისების „ნიმკას" ჯიშის ძროხები. მთიან ადგილებში კი განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთის ჯიშების „ხევსურკების" და კერძოდ მეგრული ჯიშის საქონლის მოშენებას.

რაიონულმა კომიტეტმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა მთიანი ადგილების მშრომელ მოსახლეობაში. კინჩხაში, გორდში, ბუმბუას ხიდზე და ძეძილეთში მე-17 პარტყრილობის შემდეგ მოწვეული იყო თათბირები, დამუშავდა მე-17 პარტყრილობის და ამხ. სტალინის მითითებანი მეცხოველეობის განვითარების შესახებ. წახალისებისათვის პირუტყვის ყოფ. მეპატრონეებს გორდსა და კინჩხაში ივნისსა და ივლისში დაურიგდათ სიმინდი, რადგან გასული წლის მოუსავლიანობის გამო იძულებული ხდებოდენ გაეყიდათ საქონელი. გარდა ამისა მეჯოგე მარტოხელნი, რომელნიც მთებში საქონელს მწყემსავენ, განთავისუფლებულ იქნენ გზების მშენებლობაში შრომითი მონაწილეობისაგან. ასეთმა წამახალისებელ ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა მთიანი ადგილების მშრომელ მოსახლეობაში.

რაიონულმა კომიტეტმა სერიოზული ყურადღება მიაქცია მეღორეობის განვითარების საქმეს. მეღორეობა რაიონში დაღმავალი ხაზით უფრო სწრაფად მიდიოდა, ვინემ მსხვილფეხა საქონლის. მაგრამ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით ამ საქმეშიც მოხდა გარდატეხა. 1934 წლის 1-ლ იანვრისათვის რაიონში აღრიცხული იყო 3968 სული ღორი, აქედან გოჭი (4 თვემდე) 1.157 სული, 1934 წლის 1-ლ ივნისისათვის იყო 6294 ღორი, აქედან გოჭი — 4175 სული ამნაირად, ღორების სულადობის ზრდა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ნამატის შენარჩუნებით. რაიონში აღრიცხულია 127 ჯიშიანი ღორი. დედა-ღორების გეგმით გათვალისწინებული დაგრილება ჩატარდა 130 პროცენტი. რაიონულ კომიტეტმა და პოლიტგანყოფილებამ მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საქმეს, რათა 1935 წლის 1-ლ იანვრისათვის „არც ერთი კოლმეურნე არ დარჩეს უდედაღოროდ". ამ ლოზუნგის განსახორციელებლად დაწყებულია მუშაობა. ცხოვრებაში ტარდება საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილების ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ **„იმ კოლმეურნეობებში, სადაც არ არის მეღორეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, უნდა შეიქმნეს მეღორეობის კერები (2—3 დედაღორი და ერთი ტახი").** მიმდინარე წლის ზაფხულში მეღორეობის საბჭოთა მეურნეობიდან რაიონში შემოყვანილ იქნა 135 ჯიშიანი დედა-ღორი და ტახები. რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მოწყობილია მეღორეობის კერები 3—5 დედაღორით და ტახით. გარდა ამისა, მეღორეობის კერა მოეწყო, სკოლებთან (**მათხოჯი, ჯიხაიში, ნახახულევი** და სხვ.) და ძაფსაღებ ქარხნის საგარეუბნო მეურნეობაში. ამ წლის ბოლომდე შემოყვანილი იქნება „იორკშირის" ჯიშის 15 ღორი (დედა-ღორი 5, ტახი —10). მიღებული ღონისძიებანი უსათუოდ ხელს შეუწყობენ, როგორც მეღორეობის შემდგომ განვითარებას, ისე მეღორეობის ჯიშის გაუმჯობესებას.

მთელმა რიგმა საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობების გამგეობებმა მეღორეობის კერების განმტკიცება თავიანთ საბრძოლო ამოცანად დაისახეს. ამიტომაც ღორები საუკეთესოდ მოვლილი ჰყავთ წითელი ვარსკვლავის არტელს, ხონის მეორე უბნის პირველ არტელს. ხის პირველ არტელს და სხვებს. არიან კოლმეურნეები და პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არ აფასებენ მეღორეობის განვითარების უდიდეს მნიშვნელობას და რომლებმაც სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს მეღორეობის კერების მოწყობის და მათი განმტკიცების საქმეში. მოუვლელობის გამო გოჭები დაიხოცა ივანდიდის პირველ არტელის მეღორეობის კერაში (არტ. თავმჯდომარე სურმავა), შუაგუბნის არტელში (თავმჯდ. კორმაძე) და სხვ. ცუდად უვლიან გოჭებს შუაქუთხის არტელის გამგეობა (თავმჯდომარე შუღლაყაძე) და სხვ.

საკოლმეურნეო მეღორეობის კერები საკვებით უზრუნველყოფილია; მხოლოდ არ აქვთ თბილი ბინები ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები ღორების უზრუნველსაყოფად ასეთი ბინებით. თბილი ბინა, კარგი საკვები და ყოველდღიური მზრუნველობა—აი მეღორეობის კერების განმტკიცების მთავარი პირობა.

რაიონული კომიტეტის და პოლიტგანყოფილების მიერ გამოყოფილი ჯიშიანი მსხვილფეხა პირუტყვის და ღორების მოვლის შემმოწმებელი კომისია სუსტად მუშაობს. არ კმარა მარტო ჩამოვლა, შემოწმება და საინფორმაციო მოხსენებების შედგენა, საჭიროა ადგილებზე სასწრაფოდ იქნეს მიღებული გადამწყვეტი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქონლის ზოოვეტმომსახურება რაიონში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. რაიმიწგანმა ჯერ კიდევ ვერ მოაგვარა ვეტექიმის უზრუნველყოფა ტრანსპორტით. მას ხშირად ფეხით უხდება რამდენიმე კილომეტრის გავლა, რაც ხელს უშლის ვეტმომსახურებას საკოლმეურნეო მესაქონლეობის ფერმების და მეღორეობის კერების ზრდასთან დაკავშირებით, ერთი ვეტექიმი ვერ გაუწევს რაიონს საჭირო მომსახურებას. ამ საკითხს სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს სამიწათმოქმედო ორგანო და მიიღოს სათანადო ზომები ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ხონის რაიონის პარტიული ორგანიზაცია რასაკვირველია ვერ დაკმაყოფილდება ერთგვარი წარმატებით მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ეს არის მუშაობის დასაწყისი. ხონის პარტორგანიზაციას აქვს რეალური საშუალებანი მოიპოვოს გამარჯვება მესაქონლეობის განვითარების საქმეში.

საჭიროა მთელი ჩვენი პარტორგანიზაციების მუშაობის შინაარსის გარდაქმნა, ოპერატიულად და კონკრეტულად მუშაობა, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ბოლშევიკური ბრძოლა იმ გრანდიოზული პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც მოცემულია მე-17 პარტყრილობის და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებაში.

◆

აბაშაში ცუდად ხელმძღვანელობენ ხორცის დამზადებას

აბაშის რაიონში ხორცის დამზადების წლიური დავალება შესრულებულია 78,7 პროცენტით. **გეზათის ახ. აბაშის, სეფეთის, სამიქაოს, გვ. აბაშის და ნორიას** სასოფლო საბჭოები ამ მხრივ განსაკუთრებით არიან ჩამორჩენილნი. გეზათის სას. საბჭოს მე-4 კვარტალის გეგმა 5 ნოემბრისათვის შესრულებული ჰქონდა 17,9 პროც. წლიური დავალება კი 71,2 პროც.

ჩამორჩენას ყველის დამზადებაშიაც აქვს ადგილი. 5 ნოემბრისათვის წლიური გეგმა ნაცვლად 95 პროც. შესრულებული იყო 85 პროც.

ხორცის და ყველის დამზადებაში ეს გარღვევა შედეგია ადგილობრივი ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის. ხშირია შემთხვევა, როდესაც საბჭოს პარტიის და კომკავშირის წევრებს არ აქვთ ორი-სამი კვარტალის დავალება შესრულებული (სუჯუნა, გეზათი, კფიეთი). მივიწყებულია მასიური მუშაობა. პროკურატურა არასაკმაო ზომებს ღებულობს ურჩი არ ჩამბარებლების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, როგორც ყველის, ისე ხორცის დამზადების გეგმების დაყვანის დარგში აღრიცხვის მოუწესრიგებლობა. ამის გამო 1934 წლის ყველის დამზადების გეგმა დაყვანილი იქნა უკანონოდ 384 მეურნემდე არის იმის ფაქტებიც, როდესაც ხორცის და ყველის დამზადების დავალება დღემდე არ აქვთ მიცემული ზოგიერთებს.

არასწორი აღრიცხვის (ცუდმა შედეგებმა განსაკუთრებით თავი იჩინა ნორიას თემში. აქ 75 კომლს (მასწავლებლები და მოსამსახურეები, რომელთაც არ აწერიათ სას. სამ. გადასახადი და არ აქვთ თესვის დავალება) მიცემული აქვს არასწორი გეგმა ხორცის ჩაბარებაზე. 5 კომლს ორჯერ აქვს შეწერილი გადასახადი.

ყველა ეს მოწმობს, რომ აბაშის რაიონში ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევენ ხორცისა და რძის პროდუქტების დამზადებას.

პ. გვაზავა

□ □ □

„დღეს მოსვენებული ვარ— კარგი ამინდია“

საკოლმეურნეო მინდვრების უხვი მოსავალი მოაწყდა რკინისგზას. ფოთის ნავთსადგურის ყველა საწყობი გადატვირთულია. ხშირად ვაგონების მიუღებლობის გამო მინდორშიც კი აწყობენ ფქვილს და ხორბლის ტომრებს.

ა.-კ. რკინის-გზის პირველი განყოფილება კი მოუმზადებელი შეხვდა პურეულის გადაზიდვებს. არ არის ვაგონების საკმარისი პარკი და არ ხდება მათი სწორი გამოყენება. ამიტომ სადგური ფოთი განიცდის ვაგონების ნაკლებობას და პურეული გადაუზიდავი რჩება. ეს მაშინ, როცა ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს და პირველ საექსპლოატაციო განყოფილებას, ყველა პირობა აქვს პურეულის დაუბრკოლებლივ და თავის დროზე გადასაზიდავად. ხაზზე მოიპოვება ბევრი ცარიელი ვაგონი, მაგრამ დისპეტჩერები ყურადღებას არ აქცევენ მათ სწრაფ და სწორ მოქცევას.

პირველმა საექსპლოატაციო განყოფილებამ სადგურ ფოთს უნდა მიაწოდოს ყოველდღიურად 84 ვაგონი. აქედან პურეულის გადასაზიდათ—45 გზის უფროსის ამხ. როზენცვეიგის ბრძანებით პურეულის გადასაზიდათ განყოფილებამ ფოთის სადგურს უნდა მიაწოდოს სუფთა და მთელი ვაგონები, მაგრამ როგორც ეტყობა ეს ბრძანება განყოფილების უფროსმა მაუდქვეშ ამოსდო. განყოფილება დღემდე არ გზავნის სუფთა და ჯანსაღ ვაგონებს ფოთში. ვაგონები იგზავნება არა გეგმის მიხედვით, არამედ ზოგიერთი დისპეტჩერის სურვილით და არა თანაბრად; ამიტომ პურეული თავის დროზე არ იტვირთება და დღითიდღე მატულობს ვაგონების მოცდენა.

აი, ერთი დამახასიათებელი მაგალითი: 30 ოქტომბერს ღამით, ფოთში მივიდა—9 ვაგონი, დილით კი 74. აქედან 30 ვაგონის გარეცხვას 2—3 საათი მოუნდა. ხოლო 6 ვაგონი დეპოში ჩადგა შესაკეთებლად, დანარჩენი ვაგონები კი ყველა აუხსნელად იქნა შეკეთებული. აი, ასე მუშაობს პირველი განყოფილება ზამთრის ტვირთზიდვის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პერიოდში. დაივიწყეს ამ განყოფილების ხელმძღვანელებმა, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან თვითეულ მარცვალზე. თვითეულ კილოგრამ ბოსტნეულზე, რომელსაც ისინი გადაზიდავენ.

სადგურის უფროსი **მ. რომანიშვილი** აშკარა ბოროტმოქმედებას ჩადის. პირველ ნოემბერს ფოთში მზიანი დღე იყო. თუმცა ფოთელებს ძლიერ ახარებს მზიანი დღე, მაგრამ განსაკუთრებით დიდი იყო რომანიშვილის სიხარული. მან განაცხადა:

— დღეს მოსვენებული ვარ კარგი ამინდია, ვაგონში წყალი არ ჩავა. მე დავტვირთავ და შემდეგ სახურავში წვიმა გაატანს თუ არა რაში მეკითხებაო.

აი, ადამიანი, რომელიც პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენაზე ოცნებობს. მაგრამ რკინისგზის ზოგიერთი ბიუროკრატები გაფუჭებულ ტვირთის შესახებ შეადგენენ ოქმს და ამით იფარება რომანიშვილისებურ ადამიანთა ბოროტმოქმედება.

რკინისგზის ასეთი მუშაობის გამო, ნავთსადგურის საწყობები გადატვირთულია, გემები ელიან მათ დაცლას, რომანიშვილი კი კარგი ამინდია და ისვენებს. რას ერჩით! მაგრამ რას გვეტყვის რომანიშვილი იმის შესახებ, ნავთსადგურის მტვირთავი მუშები რომ გამოსთქვამენ გულისწყრომას?

— ვაგონებს სახურავი არ აქვთ, კედლები არ უვარგათ!

— რატომ ჩამოაყენეს დასატვირთავად?

— კარგი ამინდია, არ ჩაიწვიმს და იმიტომ.

ასეთი საუბარი კი აქ ხშირია. მაგ. პირველ ნოემბერს დატვირთეს სახურავდაზიანებული ოთხი ვაგონი.

სექტემბერში პირველ საექსპლოატაციო განყოფილებამ ვერ გადაზიდა 237 ვაგონი პურეული. უარესი მდგომარეობაა ოქტომბერში. 29 ოქტომბერს 45 ვაგონის მაგიერ დაიტვირთა—17. ხოლო 31 ოქტომბერს—31. ყოველდღიურად 10—15 ვაგონი პური გადაუზიდავი რჩება.

ცუდათ მუშაობს ფოთის სავაგონო დეპო. დეპოს უფროსი ზერაია პურეულის ვაგონების შეკეთებაში დაუშვებელ გულგრილობას იჩენს, არ ხდება ამ ვაგონების კეთილსინდისიერი შეკეთება. ვაგონ № 474142-ს შესაკეთებელი ჰქონდა იატაკი და კედელი. სადგურმა ეს ვაგონი ჩააყენა დეპოში 22 სექტემბერს; იგი შეკეთდა იმავე დღეს და გაიგზავნა დასატვირთად ვაგონი დაიტვირთა, ორთქლმავალმა იგი ნავთსადგურიდან სადგურამდე მოიტანა უნდა ჩაეყენებინათ შემადგენლობაში, მაგრამ მეისრეებმა ნახეს, რომ ხორბალი ცვიოდა, რადგან ვაგონის იატაკი გატეხილი იყო. შემდეგ დაცალეს ვაგონი. რომანიშვილმა შეადგინა ცნობა, მისწერა ბერაიას და დეპოში ეს ვაგონი მეორედ ჩააყენეს შესაკეთებლად. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი 24 და 27 ოქტომბერსაც.

ნავთსადგურში, რკინის გზის 7 სასწორი არ მუშაობს. სამმართველომ ფოთში გამოგზავნა სასწორების ოსტატი ალექსანდროვი, რომელსაც სადგურმა საცხოვრებელი ბინა ვერ მისცა. ამიტომ ალექსანდროვმა მიატოვა სამუშაო და ტფილისში წამოვიდა. ახლა სასწორები არ მუშაობს და რომანიშვილი ალექსანდროვის შესახებ ტფილისში ელწერილს—ელწერილზე გზავნის. ელწერილი კი საქმეს არ შველის, ტვირთის აწონა ფერხდება.

პურეული დაუბრკოლებლივ უნდა გადაიზიდოს. საჭიროა ახლავე მიიღოს ზომები ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ და ფოთის სადგურს მიაწოდოს საჭირო ვაგონები, თავის მხრივ კი სადგურმა და სავაგონო დეპომ საქმით გამოასწორონ დიდი გარღვევა პურეულის დატვირთვა-გაგზავნაში.

კლ. გოგიავა.



ავაგოთ „კომუნისტის“ ესკადრილია!

კულაშის ზოოტექნიკუმს შემოაქვს ასი მანეთი და იწვევს გორდის და საგურამოს ზოოტექნიკუმებს.

★

ხაჩხერეს რაიონის სახ. მოსამართლე სერგო ნანიტაშვილს შემოაქვს **40** მან. გამომძიებელ კილაძეს **30** მან. და აღმასრულებელს **30** მანეთი და იწვევენ საქართველოს რესპუბლიკის ყველა რაიონის მოსამართლეებს, გამომძიებლებს და აღმასრულებლებს.

★

ზესტაფონის პედტექნიკუმს შემოაქვს „კომუნისტის“ ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად 200 მან. და იწვევს რესპუბლიკის ყველა პედტექნიკუმს და ზესტაფონის რაიონის სრულ და არასრულ საშუალო სკოლებს.

დირექცია.

★

ამხ. გ. მუშიშვილის გამოწვევით შემომაქვს 100 მან.

ალ. გ. ჟოჟიკაშვილი.

★

შემომაქვს 20 მანეთი და ვიწვევ მუჭუტა ჩიჩუას, ცეკადან დათიკო ბოლქვაძეს ვანო ბერიკაციშვილს და ბიჭიკო ნაკაშიძეს

ლიზიკო ნაკაშიძე.

სუფსის ჩაის ქარხნის მშენებლობის ინჟინრებს მესხიშვილს და ტოპაძეს შემოაქვთ 100 მანეთი და იწვევენ ახალმშენებლობის ჩაის ქარხნის უფროსებს და მათ მოადგილეებს. (ოჩხამურის, ნასაკირალის, ანჩეგვარის, მამათის და ლაითურის).

★

„კომუნისტის“ ესკადრილიის ფონდში შემომაქვს 50 მან. ვიწვევ სენაკის სას.-სამ. ტექნიკუმის დირექტორს ირაკლი უჩანეიშვილს. აბაშის სას.-სამ. ტექნიკუმის დირექტორს ცომაიას. დიდი ჯიხაიშის სას. სამ. ტექნიკუმის დირექტორ პოლიკო მიქაძეს და გორდის ზოოტექნიკუმის დირექტორ ელიაშვილს.

კულაშის ზოოტექნიკუმის დირექტორი—
გიორგი თარგამაძე.

ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტისაგან

„კომუნისტის“ ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტი აცხადებს, რომ ყველა რაიონულმა კომისიებმა და რაიგაზეთების რედაქციებმა, ესკადრილიისათვის დღემდე შეგროვილი ფული დაუყოვნებლივ უნდა გადმორიცხონ სახელმწიფო ბანკში (ანგარიში № 160412) და ამაზე აცნობონ „კომუნისტის“ რედაქციასაც.

„კომუნისტის“ ესკადრილიის ასაგებ ფონდში ფული შეტანილი უნდა იქნას **სახელმწიფო ბანკში** ესკადრილიის ანგარიშზე № 160412 წარწერით: „ესკადრილიისთვის“, ანდა „კომუნისტის“ გამომცემლობის კანტორაში (ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34).

15 ნოემბრისათვის „კომუნისტის“ ესკადრილიის ასაგებ ფონდში შემოსულია სულ 209.214 მ. 04 კაპ.

□ □ □ □ □ □

კვების საწარმოების ლაბორატორიების მუშაობას ყურადღება არ ექცევა

გასულ წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა კვების საწარმოთა ხელმძღვანელების გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანად დასახა „საქარხნო-საფაბრიკო ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების ხელსაწყოებით უზრუნველყოფის და მათი კადრებით განმტკიცებისათვის ყურადღების გაძლიერება“.

უნდა ვაღიაროთ, რომ ტფილისის ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები ც. კ-ის დადგენილების გატარებისათვის ბრძოლას თავიდანვე უყურადღებოდ მოეკიდენ. ამის მაგალითს იძლევა პირველ რიგში ტფილისის ხორცის კომბინატი; რომლის სამკუთხედის მესვეურთა კაბინეტებში შესვლისას თქვენ უდაოდ დარწმუნდებით ამ ფაქტის სისწორეში. კომბინატის დირექტორის კაბინეტში შესვლისთანავე მტვერი, ჭუჭყი, და უსუფთაობა გეცემათ თვალში. ასევე უსუფთაობა და სიბინძურეა პარტორგანიზაციისა და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელების კაბინეტებშიც.

ხელმძღვანელების კაბინეტების დათვალიერებით თქვენ აუცილებლად მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ აქ საზოგადოთ ყველაფერი რიგზე არ არის.

და მართლაც ნახეთ კომბინატის ეზო, რომელშიაც საქონლის განავლისა და სისტემატიური დაუსუფთავებლობის გამო საშინლად მყრალი სუნი დგას [illegible] არაფერი.

უარესი მდგომარეობაა საამქროებში. აქ მუშები ჭუჭყიანი და გასვრილი ხალათებით მუშაობენ. ზოგს ფეხსაცმელი არ აცვია, ბევრს კიდევ — სპეცტანსაცმელი. ნახავთ იმასაც, რომ ხორცის ჩამოსაკიდებელი ჩანგლები წითლადაა შეღებილი (წესია კი რომ თეთრად შეიღებოს), ხორცი არ იფარება მარლით, კუთხეები სავსეა ნაგავით და ჭუჭყით. საამქროს კარები ღიაა და შემოდის ყველა, ვისაც კი არ ეზარება. ამასთანავე პროდუქცია (ხორცი) კომბინატიდან სანიტარულად მიუღებელი ტრანსპორტით გააქვთ (3 ნოემბერს „ტფილსაზკვებტრესტის“ სასადილოებისათვის ხორცი წამოიღო ჭუჭყიანმა ავტომ). ასეთი შემთხვევები აქ ჩვეულებრივია.

ახლა შევიხედოთ ლაბორატორიაში. კომბინატს აქვს ქიმიური და მიკრო-ბიოლოგიური ლაბორატორია, მაგრამ მათი მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიასთანაა ჰისტოლოგიის და ტრეხნოსკოპის კაბინეტები, მაგრამ ლაბორატორიას არ აქვს საჭირო აპარატები, ჭურჭლეულობა. ამასთანავე ჭუჭყიანი და სუფთა ჭურჭელი ერთად ინახება, არც შეუძლებელს ხდის ზუსტი მიკრობიოლოგიური ანალიზების წარმოებას. უნდა ითქვას, რომ აქ სისუფთავეც არაა დაცული. ხელსაწყოები და აპარატურა მტვერითაა დაფარული, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაბორატორიის სასწორის თეფშები გამოყენებ--ია საფერფლეებად, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

რაც შეეხება ტფ.-სოფმრეწვის ლიმონათის, „საქპურტრესტის“ პურის და რძის ქარხნების ლაბორატორიებს, — აქ მდგომათის ქარხნის ლაბორატორიაში დღემდე არ შეიძლება იმის თქმა, რომ აქ ყველაფერი კარგად იყოს. სამივე ქარხნის ლაბორატორიები ჯერ კიდევ ვიწროთ არიან ბინის მხრით, რაც აძნელებს სანიტარულ წესების დაცვას და ანალიზების ხარისხის გაუმჯობესებას. არც ლაბორატორიის მუშაკები იწუხებენ თავს მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებით. ლიმონათის ქარხნის ლაბორატორია დღემდე არ სწარმოებს ჩატარებული ანალიზების აღრიცხვა, ეს მდგომარეობა კარგად იციან ამ ქარხნების პარტიულმა ორგანიზაციებმა, მაგრამ რეალურად არავითარ ზომებს არ ღებულობენ. ამასგარდა ღონისძიებებს არ ღებულობენ ლაბორატორიის შენობების შესაკეთებლად. საჭირო ხელსაწყოების შესაძენად და სხ. ლაბორატორიის მუშაკებს არა აქვთ სპეც. და სანიტ. ხალათები, ამიტომ ისინი უბრალო ტანისამოსით მუშაობენ. ცხადია, რომ ასეთ პირობებში სისუფთავის დაცვაზე და საერთოდ ლაბორატორიების ნორმალურ მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

იქ, სადაც წარმოებათა ხელმძღვანელებმა გაიგეს ლაბორატორიების მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა, ისინი გაერკვიენ იმაშიც რომ ლაბორატორიის კარგად მუშაობით შეიძლება წარმოების მუშაობის ხარისხის შემოწმება და ამით სათანადო შედეგებსაც მიაღწიეს. ამის მაგალითს ტფილისის მაკარონის ქარხანა და საშაქარლამო ფაბრიკა № 1 და № 2 იძლევიან.

ტფილისის მაკარონის ფაბრიკაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ლაბორატორიის მუშაობას ადმინისტრაციის მიერ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამ მიმართულებით, როგორც ქარხნის დირექტორი ამხ. მურადოვი გადმოგვცემს, რეალური ნაბიჯი „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ გადაიდგა. ქარხნის სამკუთხედმა შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთა და აი შედეგიც: ლაბორატორია მოათავსეს საკმაოდ მოზრდილ ოთახში და უზრუნველყვეს ჭურჭლეულობით და სხვა ინვენტარით, რის მეოხებითაც ლაბორატორია სისტემატიურად და ზუსტად აწარმოებს გამოშვებულ პროდუქციის შემოწმებას. ამით უნდა აიხსნას უკანასკნელ ხანებში ქარხნის გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. არანაკლები მუშაობა ჩაატარეს ფაბრიკა საშაქარლამო № 1 და 2-ის ხელმძღვანელებმა, თუმცა მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ მოუწესრიგებელი.

ჩამორჩენილ საწარმოებმა უნდა გამოიყენონ მოწინავეთა გამოცდილება, რათა უახლოეს დროში გარდაქმნან თავიანთი მუშაობა.

„კომუნისტის“ ბრიგადა:

1. ექ. შალეგინი, 2. გიერო-ბიოლოგი ცინცაძე, 3. ქიმიკოსი ციცანოვი. 4. ექ. ჯიძიძე, 5. ექ. გედოუშვილი,
მუშკორები: 6. ნემსიწვერიძე, 7. საყვარელიძე, 8. პაპინაშვილი, 9. გიორგობიანი, 10 სოხაძე, 11. მოლარიშვილი, 12. ხელაძე.

□ □ □

მანდარინის პლანტაცია. პერსპექტივაში — ვენახი აფხაზეთი—სახ. მეურნეობა „ილიჩი“

პატარა ფელეტონი

საარჩევნო და არასაარჩევნო კამპანია

— დაუკარ ჩემო ჩანგურო, ამოიღე ხმაო, ყური დამიგდეთ ბიჭებო, ლექსი უნდა ეთქვაო.

ასე მღეროდა ჭაბუკი, თანდილაშვილი გვარადა, მას მორჩილებდენ ყველანი, რადგან ის გახლდათ თამადა.

ახლა პოეზიას თავი დავანებოთ და გადავიდეთ პროზაზე.

ჩვენ სილაღის და სიხარულის ეპოქაში ვცხოვრობთ, გვიხარია, რომ წამოვაჩოქეთ მტრები, გვიხარია რომ თავისუფალი შრომის შვილები ვართ და შეგვწევს უნარი გმირობის გამომჟღავნებისა.

მაგრამ ერთი რამ გვჭირს — როცა გაცხარებული პოლიტიკური და სამეურნეო კამპანია გვაქვს ჩასატარებელი, მაშინ არ გვცალია დოლისა და საზანდარისათვის. არ გვცალია ჩონგურისა და თარისათვის. ლეკურზე და „შამილზე“ ზედმეტია ლაპარაკი.

აბა წარმოიდგინეთ თესვის ან თოხნის გახურებული კამპანია. კოლმეურნეები დაკარწახებულნი ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაპირის გატანაში. და იქვე მახლობლად საბჭოს ან აღმასკომის თავმჯდომარე ლეკურს უვლის, თითის წვერებზე დგება.

მგონი რაღაც არ მოდის თავს. ასევე არ მოდის თავს ის ამბავიც, რომელზედაც აქ ლაპარაკი გვექნება.

მოგეხსენებათ ახლა საბჭოების გახურებული საარჩევნო კამპანია გვაქვს. დიდი და პატარა მასშია ჩაბმული. ფუთვალთვალებთ, რომ არ შემოგვეპაროს „უცხო მოყმე ვინმე“.

გვცალია ამ დროს ლეკურისა და „შამილისათვის“, გვცალია აზარფეშებისა და ყანწებისათვის? ცხადია არა!

მაგრამ მარტყოფელებს ამაში ვერ დავარწმუნებთ. მათ თავისი „გეზი“ აქვთ, თავისი „გეგმა“ აქვთ, თავისი შნო და მარიფათი აქვთ. ყველაფერი დაგეგმილი აქვთ. იმის საილუსტრაციოთ განვიხილოთ მათი გეგმა, სპეციალურად შედგენილი საბჭოების საარჩევნო კამპანიისათვის.

„არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილ ამხანაგთა შემადგენლობა განაწილებულ იქნეს მგზავრობის დროს შემდეგნაირად:

1. ამხ. **თანდილაშვილი** (აღმასკომის თავმჯდომარე), **ხაჟალიშვილი** (პოლიტგანყოფილება) და **მღვდელაშვილი** (აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე) — ერთად რაიაღმასკომის ეტლით.

2. ამხ. **ამაშუკელი** (რაიმიწგანი), **დუდაევი** (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და **ვალოდია მგალობლიშვილი** (მტს-ის დირექტორი) ერთად სამტრესტის ლინეიკით

3. ამხ. **ხვანიძე** (პროკურორი), **ჯალალიშვილი** (მიწგანის მოადგილე), **ჩხუნაშვილი** (საგზაო სექცია) და **ბაიდოშვილი** (პროფ. რწმუნებული) ერთად მიწგანის ლინეიკით.

4. სარედაქციო სამდივნოში გამოყოფილი იქნენ ამხ. **ძამაშვილი, ხუბუა, და კლიმენტი მგალობლიშვილი** ერთად ფატმასურის მეურნეობის ლინეიკით.

მნეებათ გამოყოფილი იქნენ ამხ. **ხიდიშელი** (ფინგანის გამგის მოადგილე) და **დათიკო ლონიაშვილი** — ერთი ფურგუნით (?)“ (იხ. ყვარელის რაიონის საარჩევნო კომისიის 1934 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება).

ამ გეგმას უსათუოდ აქვს ნაკლი, არ შედიან შიგ მერიქიფეები. შეიძლებოდა მათთვისაც გამოგვეძებნა თუ ლინეიკა არა, „ტაჩკა“ მაინც. მეზურნეებიც უნდა შესულიყვნენ გეგმაში, რატომ არა? თუ ლინეიკაზე არ აღმოჩნდებოდა მათთვის ადგილი, მნეების ფურგუნზე დაესხამდით. არ არიან გეგმაში აგრეთვე მედოლეები, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოთ ამ დადგენილების ავტორებს.

თუ მათ ტრანსპორტი აღარდებოდათ, ჩვენ შევძლებდით ვირებზე შეგვესხა ისინი. არა, ვირების ძებნაც არ დაგვჭირდებოდა. მაგალითად შეიძლებოდა „სარედაქციო სამდივნოს“ დატოვება და მათ მაგიერ მედოლეების წაყვანა. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ყველა გეგმა საჭიროებს დაზუსტებას. ეს გეგმაც სიზუსტის მხრივ მოიკოჭლებს. მაგრამ ყოველივე ნაკლი, როგორც შემდეგ დაინახავთ, სწორდება ცხოვრების სრბოლაში, ცხოვრება თვითონ იძლევა მალამოს ჭრილობათა მოსაშუშებლად.

და დაიძრა ეტლი. მას მოყვა პირველი ლინეიკა (თანამდებობის პირთა ავტორიტეტის მიხედვით), შემდეგ მეორე, შემდეგ მესამე, შემდეგ ფურგუნი მნეებით.

ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი მიმზიდველობით „მიუხედავად პიროვნებისა“ სარგებლობდა ფურგუნი მნეებით. რატომ? ეს გასაგებია. მნეები აგროვებდენ მეცხოველეობის აღმავლობის საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებს: ცხვრის ბარკალს, დუმას, ძროხის სუკს, ხათბილოს. ღვინოს გაურჩევლად ხანდაზმულობისა: მაჭარსაც და ძველ ღვინოსაც.

და შესძრა ახალი სოფელი ცხენების ფეხების თქარათქურმა. ჯერ ეტლი სავსე საპატიო სტუმრებით, მის უკან ლინეიკა— ასე თუ ისე საპატიო სტუმრებით, კიდევ ლინეიკა სტუმრებით, ასე ვთქვათ, და კიდევ ლინეიკა. შემდეგ კი „ნებაყოფლობით გამოდევნებული გამორჩენის თვალსაზრისით მიტმასნილი „აქტივი“...

მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცოდა წინასწარ ვინ უნდა ყოფილიყო არჩეული, რამდენი ამომრჩეველია ამ სოფელში, რამდენს აქვს ხმის უფლება, რამდენია შავსიელი, რამდენია მცხოვრებთა რიცხვი, — მაინც არჩევნები ჩატარდა თვალის დახამხამებაში. აირჩიეს.

და დაიწყო კამპანია, მაგრამ არა საარჩევნო. ასარჩევი არავინ იყო, რადგან აღმასკომის თავმჯდომარე თანდილაშვილი თამადობას მაინც არავის დაუთმობდა, თუნდაც რომ ფარული ყოფილიყო კენჭისყრა.

და დაიწყო ნამდვილი ჯიგრიანი კამპანია ახალსოფლის სასადილოში.

მნეები ოფლში იწურებიან. ცხვრების ბარკლები ღაღადებენ მათ შნოს და უნარს. კარგი ნუნუაც მათ მარიფათს მატებდა ელფერს.

— შააჰშვიიი... კაკააბი..: შეიიიიბნენ:— გაიბა სიმღერა:

ეტლი, ლინეიკები, ფურგუნები, ტაჩკები, ცხენები და ვირები იდგნენ გარინდებულნი.

ახალსოფელში 26 სტუმარია, მაგრამ ოთხჯერ მეტი დამხვედრია. ყველა ფეხზე დგას... საარჩევნო კრებაზე ამის მესამედი ხალხიც არ ყოფილა. საარჩევნო კამპანია რა არის, ამ კამპანიასთან, ნამდვილ ჯიგრიან კამპანიასთან შედარებით.

— ინსტრუქცია რომ გვქონოდა, უკეთესად ჩავატარებდით, — ლაპარაკობს რიგს გარეშე ერთერთი ადგილობრივი მუშაკი.

— ხელს ნუ გვიშლით! დააჯარიმეთ მაგ ერთი ყანწით. და ახუხვიეს ადგილობრივ მუშაკს ადგილობრივი ყანწით ადგილობრივი ღვინო წესრიგის დარღვევისათვის.

— აფრინდა ქორი, აფრინდა, არაგვი ჩაინადირააა...

— მე შენ აგაფრენ, ჩუმად, ხმა გაკმინდე მეთქი!—შეუბღვირა თამადამ, ე. ი. თანდილაშვილმა მნე ლონიაშვილს, რომელსაც თავი მოჰქონდა როგორც მომარაგების ხელმძღვანელს და ამიტომ ნება აღარ ითხოვა თამადისაგან.

— ტაში! — დაიძახა თამადამ და გადმოხტა.

დაფა-ზურნის ხმა სცილდებოდა ახალსოფელს და მკაფიოდ აღწევდა მეზობელ სოფლამდე, სადაც ხვალ ჩვენმა გმირებმა უნდა ჩაატარონ კამპანია.

და გარიჟრაჟზე დაიძრა ერთი ეტლი, სამი ლინეიკა, ერთი ფურგუნი მნეებიანთურთ და დამკვრელებითურთ. და იქაც ასე ჩატარდა კამპანია არა საარჩევნო, თუმცა არჩევნებთან დაკავშირებული. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ აქ ლეკურს უვლიდა ყვარელის აღმასკომის თავმჯდომარე, იქ „შამილზე“ გადავიდა, თუმცა მათ შორის დიდი პრინციპული სხვაობა არ არის...

გერმან შუბიძე

□ □ □

ყინულმჭრელი „კასპი“ ამოღებული იქნება ზღვის ფსკერიდან

საუბარი განსაკუთრებულ სამუშაოთა ექსპედიციის უფროსთან ამხ. კრილოვთან

ბაქო, 14 ნოემბერი. ამჟამად ბაქოში იმყოფება განსაკუთრებულ სამუშაოთა ექსპედიციის უფროსი ამხ. კრილოვი. ამხ. კრილოვმა ადგის თანამშრომელთან საუბრობისას განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის ძირითადი მიზანია მოაწყოს სამოქალაქო ომის დროს კუნძულ ჩეჩნეთის მახლობლად ჩაძირული „ყინულმჭრელ „კასპის“ ამოღების სამუშაოები და პირადად უხელმძღვანელოს ამ საქმეს.

ყინულმჭრელი „კასპი“, როგორც რევოლუციური ფლოტილიის საფლაგმანო გემი, შეიარაღებული იყო არტილერიით, რის გამო, დაზიანების შემდეგ, გადაბრუნდა და ფსკერზე ძევს ცხვირით მაღლა. ეს საგრძნობად ართულებს ამოღების სამუშაოებს ვინაიდან გემი არა თუ უნდა ამოვიღოთ, არამედ გადავაბრუნოთ კიდეც.

ამოღების დამუშავებული გეგმით, წყალმყვინთავებმა გემის კორპუსის ქვემოდ უნდა გათხარონ ოთხი გვირაბი, ამ გვირაბებში გაყვანილი იქნება რკინის ოთხი ფურთო ფიცარი. ეს ფურცლები ფოლადის 75 მილიმეტრიანი ნივნივებით მიემაგრება ორ პონტონს, თითო თვითეულ ქიმზე. როცა ეს გაკეთდება, გემის კორპუსში და პონტონებში ჰაერს გადაქაჩავენ. ამოსული გემს მოაქცევენ დაცულ ადგილს ცხვირით დაბლა გადასაბრუნებლად, შემდეგ გემს შემკეთებელ ქარხანაში მივაყვანთ.

ყინულისმჭრელ „კასპს“ დაკისრებული აქვს მნიშვნელოვანი ამოცანა. მან უნდა უზრუნველყოს ასტრახანის რეიდში გემების ცურვის უფრო ხანგრძლივი ვადება, აგრეთვე დახმარება გაუწიოს მეთევზეებს, რომლებიც კასპიის ზღვის ყინულებში ყოველწლობით იჩხირებიან.

ყინულმჭრელი „კასპი“ ამოღებული იქნება განსაკუთრებულ სამუშაოთა სამმართველოს კასპის ექსპედიციის პირადი შემადგენლობის ძალებით და ამხ. კრილოვის უშუალო ხელმძღვანელობით (აღხ).

□ □

მიხეილ ჯავახიშვილი

„ვეფხის ტყაოსანის“ დაბოლოებისათვის*)

(ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია)

II.

„ვეფხის ტყაოსანი“ ჩვენს უცნობ წინაპრებსაც უთვალავჯერ უქექიათ და მისი ნამდვილი სახის აღდგენა უცდიათ. შედეგად რამდენიმე ათეული ხელნაწერი და ე. წ. ვახტანგისეული ვარიანტი შეგვრჩა, რომელიც ამ ხელნაწერებისაგან საკმაოდ განსხვავდება. მას შემდეგ რამდენიმე ვარიანტი დაიბეჭდა, ხოლო ორიოდე თვის წინათ კ. ჭიჭინაძემაც მოგვცა საკუთარი ვარიანტი. საგაზეთო წერილში ყველა ვარიანტის გარჩევა არ შეიძლება. ამიტომ მე მხოლოდ ორს უმთავრეს ვარიანტზე შევჩერდები.

ჩემთვისაც ცხადია, რომ „ვეფხის ტყაოსანს“ ვიღაც უცნობმა მწვალებლებმა მრავალი კორძი დაურთეს. ზოგმა რაღაც ტაეპში დაუმატა, ზოგს გადაწერის დროს რამდენიმე ტაეპი გამორჩა, ზოგმა გაუგებარი სიტყვა შეასწორა, ზოგმაც ახალ-ახალი ამბები წაუმატა. ერთ დროს ჭიჭინაძეს ეგონა, ეს დანამატი ყალბისმქნელთა ნაცოდვილევი კი არ არის, არამედ რუსთაველის ვარიანტებიო. მან ბევრი საბუთი დაასახელა და ისიც კი დაუმატა, რომ რუსთაველს იმიტომ ვერ გაუბედავდნენ შესწორებას და დამატებას, რომ მისი პოემა სახარებასავით შეუვალი იყო.

ამ საბუთს შეუვალობის ძალა არ აღმოაჩნდა, ვინაიდან თვითონ სახარებაც მრავალჯერ გადაუკეთებიათ და, რა თქმა უნდა, უცნობი მჯღაბნელი „ვეფხის ტყაოსანსაც“ ადვილად შეჰკადრებდა. ლიტერატურის ისტორიაში უამრავი ამგვარი შემთხვევა მოიპოვება. მაგალითად 1614 წელს „დონ კიხოტის“ პირველ ნაწილს სერვანტესის სიცოცხლეშივე ვიღაც ანონიმმა მეორე ნაწილი დაადევნა და კიდეც გამოსცა. თუ ცოცხალ ავტორს ასე უდიერად მოექცნენ, დიდი ხნის მიცვალებულ რუსთაველს რაღად მოერიდებოდნენ.

მაგრამ ამას თავს ვანებებ, ვინაიდან ჭიჭინაძემაც აღიარა უკანასკნელი შვიდი თავის სიყალბე, ვახტანგისეულ ვარიანტს მხოლოდ ინდო-ხატაველთა ამბავი (3 თავი) დაურთო და პრობლემა ახალნაირად დაგვიყენა.

ყოვლად დაუჯერებელია, რომ რუსთაველს მრავალჯერ არ შეესწორებინოს თავისი პოემა და რამდენიმე ვარიანტი არ გაევრცელებინოს. საოცარია, რომ ჩვენმა მკვლევარებმა ვარიანტების არსებობას ანგარიში არ გაუწიეს და უკლებლივ ყველა სადავო ადგილები ყალბის ქმნელებსა და გადამწერთა შეცდომას მიაწერეს. მაშ უნდა ვაღიაროთ, რომ 1) „ვეფხის ტყაოსანი“ უცნობ ნაცნობ ავტორებს ჩანართებით შეურყვნიათ, 2) არსებობს რუსთაველის მიერ დაწერილი ვარიანტები და 3) გადამწერებსაც მრავალი შესწორება შეუტანიათ.

„ვეფხის ტყაოსნის“ ნამდვილი დაბოლოების მძებნელმა თავდაპირველად პოემის მკვრივი ფაბულა, სიუჟეტის გახსნის ხერხები, კომპოზიციის მთლიანობა და პროპორციის აღნაგობა უნდა აღადგინოს. მაშ ჯერ ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსი გავიხსენოთ და ზოგი მისი რგოლი და ტოტი ზედმიწევნით დავიხსომოთ.

თვალის ერთი გადავლებით პოემა იქ უნდა დასრულებულიყო, სადაც „მათ ერთმანეთსა აკოცეს, სდგანან ყელ-გარდაჭდობილნი“. აქ სიუჟეტური რკალი უკვე შეკრულია. მიზანი მიღწეულია. ავტორს ესოდენი თავგადასავალი იმისთვის დასჭირდა, რომ ტარიელსა და ნესტანს ყელი ყელსა გარდაეჭდოთ. დანარჩენი თავისთავადაც იგულისხმება: რაინდები შინ დაბრუნდებიან, ავთანდილი თინათინს შეირთავს, ტარიელი —ნესტანს (და ტახტსაც დაიბრუნებს), ხოლო ავტორი თავისივე აფორიზმით გაიმართლებდა თავს: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო.

მკვლევარს და მკითხველს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სანიმუშო რომანია, რომელიც რამდენიმე პარალელურ მოთხრობას, რამდენიმე თემას და რამდენიმე კომპოზიციურ მეთოდს შეიცავს. და ყოველ მათგანს საკუთარი სათავე, საკუთარი გეზი და საკუთარი ბოლო აქვს. რუსთაველის თხრობის ხერხიც გაიხსენეთ: ავტორი ყოველ ამბავს გრძლად აგვიწერს და ამიტომ ჩემ მიერ ნახმარი სიტყვები „რკალი შეკრულია“, რუსთაველის მიერ სიუჟეტის გახსნის მანერას და კომპოზიციის სტილს სულაც არ შეეფერება. პოეტი არასად არ ენდობა მკითხველს. ის დაწვრილებით აგვიწერს ყველაფერს და მცირე ხვრელებსაც კი გულმოდგინედ ავსებს, რათა მკითხველს ულოღიკობის ეჭვიც კი არ დაებადოს და სიუჟეტში ოდნავი ბზარიც არ გამოჩნდეს. გარდა ამისა, რუსთაველი მეორე რიგის გმირებსაც (ასმათს, ფატმანს და სხვ.) მეტად სათუთი ყურადღებით ეპყრობა, და ამიტომ მოთხრობის გრძელ ჯაჭვს შუა გზაზე ამ რგოლებს არ გამოაცლიდა. უმთავრესი კი ის არის, რომ პოემა თავიდანვე ორი რკალისგან შესდგება. ერთი დიდი რკალია, მეორე კი მცირე და მცირე რკალის ზოგი რგოლი დიდ რკალშია ჩახლართული.

ისევ მოთხრობას გავყვეთ. ნესტანის განთავისუფლების შემდეგ პოემის გმირები ჯერ ფრიდონთან წავიდენ, შემდეგ ტარიელის ქვაბში მივიდნენ, იქიდან საჭურჭლე წამოიღეს და მერმე როსტევანს ესტუმრენ. აქ ავთანდილმა და თინათინმა იქორწინეს. აქედან გმირები ინდოეთს მიდიან. ტარიელი ტახტზე ავიდა. „ერთგან სამთავე ძმობილთა დაჰყვეს ცოტაი დღენია“, „სმა, პურობა, გახარება ჰქმნეს, ჯალაბი გაადიდეს, ვითარცა ქორწინობა ჰხამს, ეგეთისა გარდიხდიდეს“. შემდეგ ყველანი ერთმანეთს გამოეთხოვნენ და ბოლოს —

„ყოვლთა სწორად წყალობათა ვითა თოვლსა მოათოვდეს“...
„შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

ვახტანგისეულ და ჭიჭინაძისეულ „ვეფხის ტყაოსანში“ აქ თავდება რომანი, აქ იკვრის მეორე და საბოლოო სიუჟეტური რკალი. პოემა აქ თავდება და სადაც ახლა იწყება. მტკიცედ შეკრული ამბავი ძირევე გათავდა და დაიწყო მგზავრობა, ზეიმი, ქორწილები, წყალობის გაცემა და საერთო სიხარული. ეს ერთფეროვანი ულერძო შინაარსი მეორე რკალისა უფრო ელვარე გვირგვინია პოემისა, ვიდრე სიუჟეტური რკალი. მას ვახტანგისეული ვარიანტის რედაქტორებმა ის სუსტი ღერძიც კი გამოაცალეს, რომელიც მეორე რკალის ფაბულას სიმკვრივეს აძლევდა. სად არის ეს ღერძი? დაეყრდნო რა ყველა ხელნაწერს, ჭიჭინაძემ იგი იმ ალაგას შეუდგა, ოდეს ინდოეთისაკენ მიმავალმა გმირებმა სამ თვეს ვლეს და

„მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდიდოსა,
ვითა მართებდა, პურობდეს. ღვინისა სვემდეს არ დოსა“.

და უცებ სულ მოულოდნელად (ვახტანგისეული რედაქციით).

„ტარიელსა და ცოლსა მისსა მიზვდა მათი საწადელი“...
„ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს, ქოსნი ხმითა დაატკბობდეს“.

პოეტმა მინდორში სადილად დამჯდარი ტარიელი ელვის სისწრაფით გააფრინა ინდოეთს და სამეფო ტახტზე დაბრძანა.

დაუჯერებელია! არა, ეს რუსთაველი არ არ არის. ამგვარს უცაბედს ნახტომს ის არა სჩვევია. მის მხატვრულ ხერხებში ასეთი სალტო-მორტალე არა სწერია. ვიღაც უცნობმა რუსთაველის მკაფიოდ გამოკვეთილი სისტემა სიუჟეტის გაშლის უხეშად დაარღვია. აქამდის რუსთაველის პოემა ურმით მიჰყავდა, ახლა კი ვიღაც უცნობმა თვითმფრინავზე გადასვა და ერთი სტრიქონის წყალობით ტარიელი მინდორიდან ტახტზე აიყვანინა, ხოლო ტახტსა და მინდორს შორის, სადაც პოემის გმირები არხეინად „ღვინოს სვამდეს არ დოსა“, უგანიერესი და ულრმესი ხრამი დარჩა. არა, ამგვარი ქანცგამოლეული ხერხი რუსთაველს აზრადაც არ მოუვიდოდა, ვინაიდან იგი ჯერ არსად არ უხმარია და რაღა იქ უნდა ეხმარა, სადაც მეორე რკალის ღერძი იწყება!? ამ ღერძის მოსაძებნად ჭიჭინაძემ სწორი გზა აირჩია: ურემს ხელი არ გაუშვა და იკითხა, რად შეაჩერა მინდორში პოეტმა მხედრფიცები და მათი ლაშქარი? რად აჩერებს მათ „მინდორსა შინა“ სადილს? ჭიჭინაძე ინდო-ხატაველთა ამბავის შინაარსს გვიამბობს და წერს: „აი ეს არის“ „ვეფხის ტყაოსნის“ ამბავის ბუნებრივი დასრულება. აქ ყველაფერი ახსნილია, ყველაფერი ნათლად სჩანს, მოთხრობის რკალი ბოლომდე მიყვანილი და მტკიცედ შეკრული“.

სრული სიმართლეა. აი მართლა სად გამოჩნდა მცირე რკალის მკვრივი სიუჟეტური ღერძი. აი სად გამოჰკრა თავი რომანის კომპოზიციის კანონმა! პირველყოველი ამბავი ხელახლა გათვალდა. ხრამი ამოივსო. ბილიკზე გადასული თხრობა კვლავ შარაზე გამოვიდა. მკაფიოდ გამოკვეთილი სისტემა სიუჟეტის გაშლისა ისევ თავის კალაპოტშია ჩამდგარი. ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ზედიზედ გამბული ზეიმების და ქორწინების მეოხებით დინამიურობა თითქმის შესწყდა, მოქმედება უკიდურესად შენელდა და პოემის ბოლო ნაწილს მოსაწყენი ერთნაირობა დაეტყო, ხოლო ინდო-ხატაველთა ამბავმა თითქმის შეჩერებული მოტორი ხელახლა გააცოცხლა.

ეს ამბავი ორგანიული განუყოფელი ნაწილია პოემისა. დააკვირდით ამ რომანის ფაბულას. რკალები რომ [illegible], ორის მაგიერ შესაძლოა ოთხი რკალი აღმოჩნდეს: 1) თავგადასავალი ავთანდილისა, რომელიც ტარიელს დაეძებს. 2) თავგადასავალი ტარიელისა, რომელიც ნესტანს დაეძებს; 3) თავგადასავალი ნესტანისა, რომელიც განთავისუფლებას ელოდება; 4) როცა ნესტან დარეჯანს დაიხსნიან, პირველი სამი რკალი შეიკვრება და სამაგიეროდ ორი ახალი რკალი გაჩნდება: 1) ნაყოფი მიღწეულის მიზნისა (ზეიმი, ქორწილი), რომელიც ჭარბად აგვიწერა პოეტმა და 2) ტარიელის მიერ ტახტის ძიება, რომელსაც ვახტანგის ვარიანტი საქრონიკო შენიშვნისათვის — ორიოდე სტრიქონში გვატყობინებს — რა მოხდაო, ჭიჭინაძის ვარიანტი კი ამავე ამბავს მხატვრულად ართულებს, ასაბუთებს და ასურათებს იმას, რაც მოხდა და როგორ მოხდა. ვახტანგის ვარიანტს ეს „რა და როგორ“ აკლია, და უმთავრესიც სწორედ ეს არის, ვინაიდან მხატვარს მემატიანისაგან ამ სიუჟეტური ქსოვილის მოქარგვა და „ჩვენების“ ოსტატობა ანსხვავებს.

მთელი პოემა აღნაგობით გუმბათიან ტაძარს ჰგავს. გუმბათის როლს ტარიელის მიერ ინდო-ხატაველთა ამბავი ასრულებს. ვახტანგმა კი ეს გუმბათი მოსჭრა, მის მაგიერ ხავსის ოდენა ბოლქვა დაადგა („ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს“) და ყველაფერი დაარღვია, საერთო სტილიც, მხატვრული ალღოც, კომპოზიციის მთლიანობაც, პროპორციის გრძნობაც და რომანის ელემენტარული წესიც.

მართალია, „ვეფხის ტყაოსანი“ უმთავრესად რაინდობისა და მიჯნურობის კულტზეა აშენებული, მაგრამ პოემაში მესამე ხაზიც მოსჩანს. პოემა უაღრესად ლეგიტიმისტურია. „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“. მაგრამ იმავე დროს თავს მარტო მეფეთათვის კი არა, მეფობისთვისაც იკლავდნენ. ტარიელი ტახტის მემკვიდრეა, გარემოებამ კი ტახტის მაძიებლად აქცია. სანამ ის ნესტან დარეჯანის საძებრად წავიდოდა, ფარსადან მეფეს შეუთვალა:

„ერთიღა მე ვარ მემკვიდრე წინაშე თქვენისა მდგმისა,
სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომისა“...
„ხვარაზმშა დამსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალისა?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალისა?“

ნათლად და მტკიცედ არის განცხადებული, ინდოეთი ჩემიაო. მაგრამ ტარიელს ჯერ არა სცალია. სიყვარულმა ათი წლით დაჩრდილა ტახტი და როცა ტარიელმა მიჯნური იპოვა, რა თქმა უნდა, ტახტი უწინდელზე უფრო მეტად მოენატრებოდა. ვახტანგმა არ დაიშურა იგი და ჩალის ფასად მიაჩეჩა, თითქოს იმ ათ წელიწადში არაფერიც არ მომხდარიყოს და მთელი ინდოეთი მხოლოდ ტარიელის დაბრუნების მოლოდინში ყოფილიყოს. ამ ვარიანტის რედაქტორებს დაავიწყდათ, რომ ინდოეთში ისიც კი არავინ იცოდა, ცოცხალი იყო ტარიელი თუ მკვდარი, მაშ არც მის მოლოდინში იქნებოდნენ და არც ტახტს შეუნახავდნენ. გარდა ამისა, მეფე ვახტანგს და მის მწიგნობრებსაც ჩვენზე უკეთ უნდა სცოდნოდათ, რომ ყოველ ტახტს სისხლით გაჟღენთილი ლოღიკა აქვს, და რომ ტარიელი მხოლოდ მახვილით და გმირობით უნდა ასულიყო სადაო ტახტზე. რატომ? რისთვის? თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რათა ტარიელს ახალი „მამულიშვილური“ საქმე ჩაედინა: მტერი დაემარცხებინა, დატყვევებული სამშობლო გაენთავისუფლებინა, უწინდელზე უფრო მეტად განდიდებულიყო, განყენებული სამიჯნურო უფლებისთვის ასჯერ უფრო მეტად ღირებული რიალური „საქმენი საგმირონი“ დაემატებინა და ტახტის ღირსი-ღირსი გამხდარიყო. საოცარია: რა ადვილი გასაგებია, რა ნათლად მოსჩანს ეს რკინის ღერძი პოემის უკანასკნელი რკალისა და რა ადვილად გაეპარათ იგი ვახტანგის რედაქტორებს, რომელთაც უნებურად დააქვეითეს ტარიელის გმირობა.

მეტყვიან მარტო სიუჟეტურ-კომპოზიციური ანალიზი არა კმარაო. მე კი ვფიქრობ, რომ იგი მანამდის მაინც კმარა, სანამ მას ლოღიკას ვინმე არ დაარღვევდეს.

რომანის ყველა გმირებმა იციან, რომ ინდოეთი „მტერთაგან შევიწროებულია“, ტარიელიც ამბობს, ინდოეთს უნდა წავიდე, რადგან „მტერთა აქვს ჩემი სამეფო“, ავთანდილი მოითხოვს, ჯერ ინდოეთს წავიდეთ, დავიხსნათ და მერმე ვიქორწინებო; როსტევანიც ურჩევს: „წადით ლაშქრითა დიდითა, თქვენითა მტერთა და ორგულთა დაჭირვებითა, დაცასჭრადითო“.

ბოლოს ოთხმოცი ათასი მეომარი შეჰყარეს და სალაშქროდ წავიდნენ. დიახ, სალაშქროდ, და არა სასეირნოდ და სალხინოდ. ვახტანგისეული ვარიანტის რედაქტორებმა ყოველივე ეს დასტოვეს და ინდოეთის განთავისუფლების ამბავი კი ამოაგდეს.

ჩეხოვი ამბობს, თუ მოთხრობის დასაწყისში ნათქვამია, კედელზე დამბაჩა ჰკიდიაო, მოთხრობის დასასრულს ეს დამბაჩა აუცილებლივ უნდა გავარდესო. ეს ანბანური ჭეშმარიტება რუსთაველმაც კარგად იცოდა და პოემის კედლებზე დამბაჩები კი არა, ზარბაზნები ჩამოჰკიდა, მაგრამ ვიღაც უცნობი რედაქტორის მეოხებით არც ერთი არ გავარდა. ხელნაწერებში კი ამ ზარბაზნებმა თავის დროზე და თავის ალაგას დაიქუხეს, იმისათვის, დაიქუხეს, რომ ტარიელს ხატაველნი დაემარცხებინა, ინდოეთი ეხსნა და ამ გზით ასულიყო ტახტზე.

1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხის ტყაოსანი“ კლდესავით დააწვა შემდგომ მკვლევარებს და შემოქმედებითი გამბედაობა—თაოსნობა შეუხუთა. ტრადიცია სასარგებლო რამ არის, მაგრამ არა მუდამ და არც ყველაფერში. დროა ვიკითხოთ, ნუ თუ 222 წელიწადში (1712—1734) ვახტანგისეული რედაქციის ხუნდებს თავი ვერ დავაღწიეთ? (მე ინდო-ხატაველთა ამბავს ვგულისხმობ, თორემ სხვა მხრივ რუსთაველოლოგიაში ყველამ მეტნაკლები წვლილი შეიტანა).

ჭიჭინაძემ ინდო-ხატაველთა ამბავი თავის ალაგას ჩაურთო და გარღვეული რკალი შეჰკრა.

აქეთ იქიდან ხმა ისმის, ეგ სამი თავი პოეტიკის და სტილის მხრივ წინა თავებზე უფრო სუსტია და ამიტომ რუსთაველს არ ეკუთვნისო.

„უფრო სუსტია“ საბუთად არ გამოდგება. ჭიჭინაძე დაწვრილებით იხილავს ამ თავების ლექსიკას, რუსთაველის დამახასიათებელ პასტიჩიოს მეტაფორებს, ბგერათა წყობას, რითმებს და თვალნათლივ გვიმტკიცებს, რომ ყოველივე ეს „უაღრესად რუსთაველურია“. სადავო სამი თავის ალიტერაცია სავსებით ეგუება უდაო ტექსტის ალიტერაციას და ზოგჯერ მეტიც გამოდის. დაყრდნობილი რითმაც ამჟღავნებს რუსთაველის კალამს.

◆

---

*) აზრთა გაცვლა-გამოცვლის წესით.
რედ.

წერილები რედაქციისადმი

თავადი ლაზარევი თავისას არ იშლის

საინტერესოა ეს ისტორია.

ნავთის წერტი № 37-ის გამგის ამხ. **რაჟდენ შავგულიძის** ცოლი მძიმედ იყო ავად (ფეხი მოიტეხა). შავგულიძემ სთხოვა „აზნეფტორგის“ ტფილისის განყოფილების გამგის მოადგილე ლაზარევს 2 საათით გაეთავისუფლებია ცოლის წასაყვანად საავადმყოფოში. ლაზარევმა თხოვნა შეუსრულა. შავგულიძე საათნახევრის შემდეგ დაბრუნდა წერტში და შეუდგა მუშაობას, მაგრამ ლაზარევმა მოხსნა იგი სამუშაოდან.

უცნაური ამბავია (ჯერ გაანთავისუფლა თანამშრომელი, შემდეგ კი მოხსნა ის „სამუშაო დროის გაცდენისათვის“.

შავგულიძემ შრომის ინსპექტორთან გაასაჩივრა ლაზარევის უკანონო განკარგულება. შრომის ინსპექტორმა მიმართა „აზნეფტორგის“ ტფილისის განყოფილებას, უდანაშაულოდ მოხსნილი შავგულიძე აღედგინათ თავის ადგილზე. ლაზარევმა ამ მომართვას ყურადღებაც არ მიაქცია.

საქმე გადავიდა ორჯონიკიძის სახ. რაიონულ სასამართლოში. განაჩენი შავგულიძის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. დაზარალებულს ორი თვის ხელფასიც უნდა ანაზღაურებოდა. ლაზარევმა უკმეხად განაცხადა: „არავის დადგენილებას არ ვემორჩილები. ჩემი თავის უფროსი მე ვარო“.

და მართლაც, სამი თვეა ჭიანურდება ამხ. რ. შავგულიძის სამუშაოზე აღდგენის საქმე. თავადი ლაზარევი თავისას არ იშლის არც გამოჩნდა ვინმე, რომ აეძულებია ლაზარევი სისრულეში მოეყვანა სასამართლოს გადაწყვეტილება.

ლე—ლი.

ყურადღებას არ გვაქცევენ

ყიფიანის ქუჩაზე (ტფილისი) სახლი № 6 ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახლთა ტრესტს ეკუთვნის.

აღნიშნული სახლის ეზო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ეზოში ყრია აგურის ნამტვრევები და გაჯი, არ არის წყლის აუზი, გაუქმებულია კანალიზაცია.

შესაკეთებელია სახლის სახურავი. ზოგიერთი მდგმურის ბინაში წყალი ჩამოდის. ეს ყველაფერი იცის სახლის კომენდანტმა, მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობს.

რას გვეტყვის ამაზე ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახლთა ტრესტი?

ჰ. ნადარეიშვილი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ აბრამოვი და ზურაბიშვილი დაისაჯენ

„კომუნისტის“ ა.-წ. 27 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: **„რა ხდება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში“**, რომელიც შეეხებოდა სიღნაღის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მომუშავე **აბრამოვს და ზურაბიშვილს.** მათ ბრალდებოდა სახელმწიფო ქონების განიავება.

სიღნაღის რაიპროკურორი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. აბრამოვს მიესაჯა ერთი წლით იძულებითი მუშაობა, ხოლო ზურაბიშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიცემული არიან პასუხისგებაში

„კომუნისტის“ ა.-წ. 20 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: **„ხომ უნდა დაისაჯონ დამნაშავენი“**, რომელიც შეეხებოდა ცეკავშირის სტამბის დირექტორის ქათამაძეს და ადგილკომის თავმჯდომარე **ნარიმანოვს.** მათ ბრალდებოდა სახელმწიფო თანხის გაფლანგვა.

ქ. ტფილისის 26 კომ. სახელობის რაიპროკურორი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ქათამაძე და ნარიმანოვი მიცემულია პასუხისგებაში სს.კ. 122 მუხ: და 114 მუხ. ძალით.

მავნებელმა პასუხი უნდა აგოს

„კომუნისტის“ რედაქციამ ამ სათაურით 21 სექტემბერს მიიღო წერილი. წერილის ავტორი ჩხოროწყუს კომუნალური განყოფილების მშენებლობის მომუშავე **ბესია** გაბედავას ბრალს სდებდა მავნებლურ მოქმედებაში.

„კომუნისტის“ რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჩხოროწყუს რაი-აღმასკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და გაბედავა მიცემულია პასუხისგებაში.

ორჯონიკიძის რაიშემნახველი სალარო

პირველთა რიგებში

მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხის მეხუთე ტირაჟთან დაკავშირებით ტფილისის ორჯონიკიძის რაიონის შემნახველ სალარომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ქუთაისის შემნახველი სალარო.

სოცხელშეკრულების თანახმად ამ სალაროებმა 21 ნოემბრისათვის უნდა დაფარონ სესხზე ხელმოწერილი თანხის 55 პროცენტი და უნდა შეასრულონ ფიზიკური ანაბრების მოზიდვის კვარტალური გეგმის 56 პროცენტი.

ტფილისის ორჯონიკიძის რაიშემნახველმა სალარომ ეს ვალდებულება დანიშნულ ვადაზე 10 დღით ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. 10 ნოემბრისათვის მას 55 პროცენტის ნაცვლად დაფარული ჰქონდა სესხზე ხელმოწერილი თანხის 56 პროცენტი, ხოლო ანაბრების კვარტალური გეგმა 56 პროცენტის ნაცვლად შესრულებული ჰქონდა 166 პროცენტით.

ამავე რიცხვისათვის ორჯონიკიძის რაიშემნახველ სალაროს ფულადი სახსრების მობილიზაციის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა 104,5 პროცენტით. ანაბრების გეგმა შესრულებული აქვს 439,5 პროცენტით, მასობრივი სახელმწიფო სესხის გეგმა—87,8 პროცენტით (უნდა ჰქონოდა 86,4 პროცენტით), ხოლო საბაზრო სესხების გეგმა—177,3 პროცენტით.

ამ რიგად ტფილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიშემნახველმა სალარომ პირველმა რესპუბლიკაში შეასრულა წლიური გეგმა, სამართლიანად დაიმსახურა სესხის ტირაჟზე ქუთაისში დელეგატების გაგზავნის უფლება და პირველობა საქართველოს შემნახველ სალაროთა შორის.

მისი გამოცდილება აუცილებლად უნდა გამოიყენონ საქართველოს დანარჩენმა შემნახველმა სალაროებმა.

კ—ლია.

* * *

ბიბლიოგრაფია

დ. სულიაშვილი „ჩიკორი",
1934 წლის გამოცემა

სარეცენზიო წიგნის მთავარი გმირია პატარა ჩიკორი, რომელიც მთელი თავისი ძალღონით რევოლუციურ მუშაობაშია ჩათრეული. იგი ბეჯითად ასრულებს სხვადასხვა დავალებას, დაუბრკოლებლივ გადააქვს არალეგალური ლიტერატურა საიდუმლო სტამბიდან დანიშნულ ადგილამდე. პოლიცია სხვებთან ერთად ჩიკორასაც აპატიმრებს, მაგრამ ამხანაგების დახმარებით იგი ხატუსაღოს თავს დააღწევს. კვლავ ბრძოლა, უიმედო სიყვარული, ბოლოს გმირული აღსასრული.

ავტორის მიზანია გვიჩვენოს პატარა ადამიანების რევოლუციური თავგანწირვა. მთავარი გმირის განცდა შესაფერი დამაჯერებლობით და ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით არის გადმოცემული. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერია შემდეგი ადგილები: ღამე სტამბის ეზოში, დემონსტრაცია, ციხიდან გაქცევა, ბრძოლა იარაღის საწყობთან.

ჩიკორი მარტო დარაჯობს ღამით არალეგალურ სტამბას, ჩიკორი ლანდივით დაძრწის მუშათა ჯგუფებში და პროკლამაციებს ავრცელებს. ეს მომენტები სრულ მხატვრულ შთაბეჭდილებას ქმნიან.

მაგრამ მოთხრობაში უხერხულად არის ჩართული სიყვარულის მოტივი; ეს გარემოება არ გამოდგება გარდასავალ მომენტად ნაწარმოების ფინალისათვის.

საკმაოდ დახვეწილი ენა და სტილი ვერ იგუებს ასეთ გამოთქმებს და შედარებებს:

„ჭაპრიელ ტუჩებიდან მივარდა თეთრი კბილებს".

„სხივის"...

„ლავაშისავით სახლის კედლებს მიეკრო" (ლაპარაკია მზის სხივებზე) და სხვა.

საჭირო იყო, რომ წიგნი დასურათებული ყოფილიყო.

პ. ბ—ძე.

დღეს იწყება გიმნასტების საკავშირო დღესასწაული



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): უკრაინის საუკეთესო გიმნასტი ქალები: ბოკოვა და ზა[illegible] [illegible] საუკეთესო გიმნასტი ამხ. გონჩაროვი (შუაში), რსფსრ-ის საუკეთესო გიმნასტი ამხ. ხერი და პირველი რიგის გიმნასტი ამხ. ჟიროვი (ლენინგრადი)

გიმნასტიკა სპორტული განვითარების აუცილებელი საფეხურია

გიმნასტების საკავშირო დღესასწაულზე დასასწრებლად ტფილისში ჩამოვიდა ფიზკულტურის უმაღლესი საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნოვიკოვი, რომელმაც გიმნასტების მიმდინარე შეჯიბრებათა მნიშვნელობის შესახებ კამათურ საუბარში განაცხადა.

— გიმნასტიკას, ანუ ტანვარჯიშს დღემდე უყურებდენ, როგორც ბურჟუაზიული სპორტის ნაშთს და არ მიაჩნდათ იგი ფიზკულტურის ორგანიულ შემადგენელ ნაწილად. ეს შეხედულება რომ შემცდარია, ამას ისიც ადასტურებს, რომ ტანვარჯიში მიჩნეულია აუცილებელ საფეხურად სპორტიულ სწავლებაში და არც ერთი სახის სპორტი ისე არ აითვისება, თუ ფიზკულტურელს გიმნასტიკის ზოგადი ცოდნა არა აქვს, თუ მისი ტანი არ არის გავარჯიშებული.

უკანასკნელ ხანებში ფიზკულტურის ეს დარგი — ტანვარჯიში სულ უფრო და უფრო მეტ ფიზკულტურელს იზიდავს. გასულ წელს გაიმართა გიმნასტების პირველი საკავშირო დღესასწაული, რომელზედაც მრავალ ქალაქიდან ჩამოვიდენ საუკეთესოდ გავარჯიშებული გიმნასტები. წელს ფიზკულტურის ამ დარგში ეწყობა მეორე დღესასწაული, უფრო მასობრივი და უფრო საინტერესოც, რადგან ამ დღესასწაულზე გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი არიან საბჭოთა კავშირის საუკეთესო გიმნასტები, ტანვარჯიშის ოსტატები. გ. რცხილაძე, პ. რომანიშვილი, ნ. სერი (ლენინგრადი) და სხვ. ითვლებიან პირველ მოვარჯიშეებად საბჭოთა კავშირში და მათ შორის გამართული „ბრძოლა" საკავშირო ჩემპიონობისათვის უდიდეს ინტერესს იწვევს ფიზკულტურელთა ფართო მასებში. ძალიან საინტერესო იქნება აგრეთვე ქალთა გუნდების შეხვედრა. ამ მხრივ პირველობის პრეტენდენტები არიან — ამიერ-კავკასია, უკრაინა, მოსკოვი და ლენინგრადი.

მსაჯთა კოლექტივი მოფიქრებულად არის შერჩეული. ეს იძლევა გარანტიას, რომ შეჯიბრების შედეგები დიდი დაკვირვებით იქნება შეფასებული.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მიმდინარე შეჯიბრების დროს ჩატარებული იქნება სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობა. ამ საქმიანობას უხელმძღვანელებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომელმაც საამისოდ უკვე გამოჰყო სათანადო სპეციალისტთა კადრები.

* * *



შირიაევი ნიკოლოზ (ხარკოვიდან) ვარჯიშობის მომენტში.



ამხ. სლივინსკი (კიევი) ვარჯიშობს ტაიჯზე

* * *

დღესასწაულის ქრონიკა

ფედერაციის მოედნის გაფორმება

18 ნოემბერს, ფედერაციის მოედანზე გიმნასტების მასობრივი აღლუმის გამართვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილია ფედერაციის მოედნის საზეიმო გაფორმება.

მოედნის გასაფორმებლად ამზადებენ მაკეტებს, პლაკატებს, ლოზუნგებს, და სხვა მორთულობებს.

დღესასწაულის მსაჯთა კოლექტივის შემადგენლობა

სადღესასწაულო შეჯიბრების მსაჯთა კოლექტივის თავმჯდომარედ გამოყოფილია ა-კ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მერკულოვი**. კოლექტივის წევრებად — ამხ. **ნოვიკოვი** და **ხოკოლოვი**, (საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოდან), **ეგნატაშვილი** და **ჩიკვაიძე** (საქ. ფიზკულტ. უმაღლ. საბჭოდან) და უკრაინის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების გიმნასტთა გუნდების წარმომადგენლები.

ა.-კ. ფალავნები

ამიერ - კავკასიიდან დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 5 გუნდი. მათ შორის არიან — **გ. რცხილაძე, პ. რომანიშვილი, ლ. ყანჩაველი, ბაბილოძე, ჯორჯაძე, ზაალიშვილი, მაჭავარიანი, შავდია, აწდრონიკაშვილი, მამარდაშვილი, ფხაკაძე, კოპლატაძე, რიბაჩენკო, კონტრიძე, სულაძე** და სხვ., სულ 20 კაცი.

პირველი თანრიგის ქალთა გუნდში ამიერ-კავკასიიდან შედიან — **ფარესაშვილი, მიქელაძე, ბეჟანიშვილი, ქოიავა, მეტრეველი** და **ზინოვიევა**, მეორე თანრიგის ქალთა გუნდში შედიან — **ალიმბარაშვილი, ურბანოვიჩი, პიატაევა, ზიჩენკო, გვოზდიკოვა** და **წულაიაური**.

დღესასწაულის პროგრამა

15 ნოემბერს

დღესასწაული იწყება დღეს, დილის 9 საათიდან ლენინის სახ. სტადიონის სპორტდარბაზში. დილით შეჯიბრება იწარმოებს მეორე თანრიგის გუნდებისათვის — თავისუფალ მოძრაობაში, ვარჯიშობაში რგოლებზე და ცხენზე (კაცთათვის) და ორძელებზე (ქალთათვის), ამავე დროს დინამოს სტადიონის სპორტ-დარბაზში ჩატარდება ანალოგიური შეჯიბრებები მესამე თანრიგში გამოყოფილი გუნდებისთვის.

დღეს, საღამოს ლენინის სახ. სპორტდარბაზში შესდგება დღესასწაულის საზეიმო გახსნა და გიმნასტთა გუნდების აღლუმი. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიმართება პირველ თანრიგში შემავალი გუნდების შეჯიბრება — თავისუფალ მოძრაობაში, ცხენზე, ტურნიკზე და ორძელებზე.

16 ნოემბერს

დილით შეჯიბრება მოეწყობა ლენინის სახელობის სტადიონის სპორტ-დარბაზში მეორე და მესამე თანრიგების გუნდებს შორის — ტურნიკზე, ორძელზე და სამხედრო-საველე დაბრკოლებათა დაძლევაში.

საღამოს 8 საათიდან იმავე დარბაზში გაიმართება შეჯიბრება პირველი თანრიგის კაცთა და ქალთა გუნდებს შორის. ვაჟთა გუნდებს შორის შეჯიბრება იწარმოებს — რგოლებზე და ტურნიკზე, ხოლო ქალთა გუნდებს შორის თავისუფალ მოძრაობასა და ტურნიკზე.

17 ნოემბერი

დილის 9 საათიდან გაიმართება შეჯიბრება ლენინის სახ. სტადიონზე სამხედრო - საველე დაბრკოლებათა უკეთ გადალახვაში პირველი თანრიგის ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის.

დილის 10 საათიდან დაიწყება მეორე თანრიგის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება.

ნაშუადღევის 4 საათზე გაიმართება მესამე თანრიგის გიმნასტების შეჯიბრება ტურნიკზე და ორძელზე. იმავე დროს მეორე თანრიგის გიმნასტი - ქალები შეასრულებენ თავისუფალი მოძრაობის ნომრებს.

18 ნოემბერი

18 ნოემბერი, დღესასწაულის უკანასკნელი დღეა. ამ დღეს, შუადღის 12 საათზე, ფედერაციის მოედანზე გაიმართება დღესასწაულის მონაწილე გუნდების საერთო მასობრივი აღლუმი და მასობრივი ვარჯიშობა თავისუფალ მოძრაობაში.

საამისოდ მოედანი მორთული იქნება შესაფერისად, დადგამენ ტურნიკებს, ორძელებს და სხვა მოწყობილობებს, რომლებზედაც საუკეთესო გიმნასტები შეასრულებენ სანიმუშო ნომრებს.

ამავე დღის, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრში შესდგება დღესასწაულის საზეიმო დახურვა. სხდომაზე გაკეთებული იქნება მოხსენება შეჯიბრებათა შედეგების შესახებ და მოხდება დაწინაურებული გიმნასტების დაჯილდოება.

* * *

გიმნასტები ვარჯიშობის დროს

სამი პროექტი

საქ. ს.ს. რესპუბლიკის მთავრობის სასახლის „ფასადის" პროექტების განხილვის შედეგები

ამ დღეებში [illegible]და საქართველოს მთავრობის სასახლის მშენებლობის კომიტეტის გაფართოებული სხდომა მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორების, ინჟინერების და რუსთაველის პროსპექტისაკენ მიქცეული კორპუსთა ფასადების პროექტების ავტორთა მონაწილეობით.

სხდომაზე ამ უკანასკნელ დროს წარმოდგენილ პროექტებიდან განხილულ იქნა 10 პროექტი.

კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი ამ პროექტთაგანი სავსებით არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და არ შეიძლება წარმოდგენილი სახით მიღებულ იქნას განსახორციელებლად. ამავე დროს აღნიშნულ იქნა, რომ სამ პროექტს (ურუშაძე - ჯანელიძის, კოკორინის და ნეპრინცევის), როგორც გეგმიანად გადაწყვეტის, ისე გარეგნული გაფორმების მხრივ მთელი რიგი დეფექტების მიუხედავად მაინც აქვს ღირსებები, რომელთა ბაზაზე შესაძლებელია საბოლოო პროექტის შემუშავება.

კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნო შემდგომი გაღრმავებული მუშაობის წარმოება ამ სამ პროექტზე. ავტორების წინაშე დასმულია ძირითადი ამოცანა ასახონ ფასადებსა და გეგმებში დიდი სიმარტივე, მონუმენტალობა და სიმშვიდე, რაც დამახასიათებელია საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სასახლის შენობისათვის.

განსაკუთრებით ზუსტად და გულდასმით უნდა იქნას დამუშავებული გეგმები კორპუსებში მოთავსებული მთავრობის ორგანიზაციების უკეთ მომსახურების და მათი ურთიერთ კავშირის უზრუნველსაყოფად მოძრაობის მიზანშეწონილ გრაფიკის, სადარბაზო კარების და შესასვლელების რაციონალურად განლაგების გათვალისწინებით.

არქიტექტორების ურუშაძის და ჯანელიძის პროექტი დამუშავებული იქნება ტფილისში. ამ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი მოქანდაკეები. არქიტექტორ კოკორინის პროექტის დამუშავება დავალებული აქვს მოსკოვის საბჭოს მე-10 საპროექტო სახელოსნოს. არქიტექტორ ნეპრინცევის პროექტი დამუშავებულ იქნება სასახლის მშენებლობის სამუშაოთა სამმართველოში.

საბოლოოდ დამუშავებული პროექტების წარმოდგენის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1935 წლის 1 მარტი (ალს).

* * *

ლიტქრონიკა

15 ნოემბერს საღ. 7 საათზე ხელოვნების სასახლეში საქ. საბჭ. მწერლების კავშირი აწყობს დამწყები მწერლის ქ. ხიმშიაშვილის ნოველების კითხვას.

„15 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 88) აკადემიკოსი ი. მეშჩანინოვი წაიკითხავს მოხსენებას საენათმეცნიერო მუშაობის ამოცანების შესახებ.

დასწრება თავისუფალია.

დღეს, საღ. სრულ 7 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის 13) ჟურ. „ახალგაზრდა მწერალი"-ს რედაქცია იწვევს ჟურნალის თანამშრომელთა თათბირს.

* * *

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 15 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია ყველა ტიპის სკოლების ხელმძღვანელთა პროპაგანდისტთა მორიგი მეცადინეობა. ყველა ხელმძღვანელის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

— სტალინის რაიონის პარტგანათლების სახლი აუწყებს ყველა პროპაგანდისტს, რომ 15 ნოემბერს საღამოს 8 საათზე, პარტგანათლების სახლში (პლეხანოვის და ტატიანის ქუჩების კუთხეში) შესდგება საკანდიდატო სკოლების, დაწყებითი პოლიტსკოლების და საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი სკოლების პროპაგანდისტთა მორიგი სემინარი.

— საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. პეტრე ბობროვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ც. კ-ის შენობაში (მე-2 სართული, ოთახი № 29).

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს მე-3 აბონ. 2 წარ. სიმფ. კონცერტი ოსკარ ფრიდი ხელმძღვანელობით
6 ნოემბერს მე 6 აბონ. 2 წარ. რიგოლეტო
7 ნოემბერს მე 7 აბონ. 2 წარ. სიმფ. კონცერტი ოსკარ ფრიდი ხელმძღვანელობით

იმ აბონენტებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-5 საბონემენტო შესატანი კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას. ხოლო მათი ადგილები გაიყიდება. ბილეთების გაყიდვა და ფულის მიღება წარმოებს ყოველდღე, დილით 11-დან 2 საათამდე საღ. 6-დან 9 საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. კონცერტების 9 საათზე.

რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი

დღეს 2 აბონ. 2 წარ. ნაგიშვარი
16 ნოემბერს 8 აბონ 2 წარ. ნაგიშვარი
17 ნოემბერს 11 აბ. 2 წარ. დუშმანი

20 ნოემბრიდან 25-დე გაიცემა დეკემბრისთვის ტალონები (ბილეთები) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვადების მიხედვით.

ვისაც არ ქნის გადახდილი კუთვნილი თანხა ტალონებს ვერ მიიღებს გადაუხდელობის შემთხვევაში ზომები იქნება მიღებული.

მეხამე გადასახადი ხვალ ბულია.

სალარო ღიაა 11 2 6—9.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

15 ნოემბ. აბონემ. გარეშე — წარმოდგენა № 15 — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ
16 ნოემბ. აბონ. 6 1-ლი წ. რმ. — წარმოდგენა № 1 — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ
17 ნოემბ. აბონ № 7 1-ლი წარ — წარმოდგენა № 17 — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ

აბონენტები რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მეორე გადასახადი 1 ლ წარმოდგენაზე დაშვებულნი არ იქნებიან. სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30 8-30 10-30 — დადგმის ქართული ხმოვანი ფილმი შენ სხნილი მე ქარავნი ავტორი-რეჟისორი მიხ. ჭიაურელი
დამკვრელი 6-30. 8-30 10-30 — ფილმი ჯაზი — ნახვამდის
ტემპი 6-30. 8. 9-30. 11 — ქართული ფილმი ზაღო და გელა რეჟისორები ლ. პუში. ჩუსკ. [illegible]
რ. ლიუქსემბურგის სახელობის 6-30, 8, 9-30, 11 — მხატვრული კომედია ნახვამდის დღისით 12 [illegible]
„26"-ის სახელ 7, 8-30. 10. — შერლოკი შარში მე 3 სერია დღისით საბ. ფურ. მოსამართი ხოლო.

თამაშერებლ და ლიუქსემბ. დღის სეანსები ბავშვებისათვის.

დასაწყისი 12, 1-30.

ა-კ. დაუსწრებელი საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი

აცხადებს 1935 სასწავლო წლის მიღებას.

ინსტიტუტი შეიცავს 4 სექტორს: ქართულს, ინტერნაციონალურს, სომხურ და თურქულს შემდეგი ფაკულტეტებით: 1) საფინანსო საკრედიტო და 2) სააღრიცხვო-ეკონომიური.

მისაღებ გამოცდებს ინსტიტუტი არ აწარმოებს. მისაღები პირობების აღება და ანკეტების მიღება (პირადათ ან ფოსტით), შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში: ტფილისი, ჯუღაშვილის ქ. № 4, ინსტიტუტის განყოფილებებში: ბაქო, 28 აპრილის ქ. № 8, ცენტრალური საბჭოთა პარტსკოლა; ერევანი, ფინსახკომი, ინსტიტუტის ყველა დასაყრდენ და საკონსულტაციო პუნქტებში, რესპუბლიკების ფინსახკომებში და რაიფინგანებში.

განცხადების მიღება წარმოებს ა-წ. 15 დეკემბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 1935 წ. 1-ლ იანვრიდან.

ა-კ. დაუსწრ. საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის დირექცია.

ნ. 535

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ტფილისის ერთიანი დამცველთა კოლექტივის მაგივრად უკვე გამოყოფილია 5 კოლექტივი შემდეგი მისამართებით:

1) ლენინის რაიონში ამხ. დავით ვაშაკიძის თავმჯდომარეობით სასამართლოსთან—საბჭოს ქ. 141.
2) სტალინის რაიონში ამხ. ილია მესხულიას თავმჯდომარეობით სასამართლოსთან ლენინის ქ. № 123.
3) 26 კომუნარების რაიონში ამხ. ნიკო ჭილაძის თავმჯდომარეობით სასამართლოსთან—კახეთის მოედანზე.
4) ორჯონიკიძის რაიონში ამხ. ეფრემ ჩახნაშვილის თავმჯდომარეობით იუსტიციის სახლის შენობაში—ათარბეგოვის ქ. 32.
5) ბარეუზნის რაიონში ამხ. პროკოფი ღლონტის თავმჯდომარეობით თათრის მოედანზე.

ყოველგვარი იურიდიული დახმარებისათვის მიმართეთ დამცველთა კოლექტივებს აღნიშნულ რაიონებში.

შენიშვნა: ამა თუ იმ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს პერსონალურად დამცველი სხვა კოლექტივიდანაც.

საქ. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ნასარიძე.

წევრთა საორთო კრების და მთავრობის ცხადდება სასტუმრო კავშირის სისტემის საპროფ. არტელის „დურგალი"-ს ლიკვიდაცია.

[illegible]

მისამართი [illegible] შეს. № [illegible]

5-18 ლიკვიდკომი.

ს. ს. რ. კ. საგზაო ჯარის სამინისტრო [illegible] 1934 წ. 9 [illegible]

ჩააბარონ მონაწილეთა აღწერა

[illegible]

ს. ს. რ. კ. საგზ. ჯარების რაზმის საქ. რესპუბლიკაში [illegible]

58 2

კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების და ავტომეურნეობების საყურადღებოდ

საქმიწსახკომის სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნო აცხადებს,

რომ ის ღებულობს შემდეგ სამუშაოებზე

1. ყველა მარკის ტრაქტორების კაპიტალური რემონტი.
2. „ „ ავტომანქანების „
3. ტრაქტორებისა და ავტომანქანების მუხლანა ღერძების შლიფოვკა.
4. სავულკანიზაციო სამუშაოები.
5. თუჯისა ნაწილების ჩამოსხმა საბოლოო დამუშავებით.

შეკვეთები გეგმაში შესატანად 1934 წლის IV კვარტალისა და 1935 წლის I კვარტალისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს ა.-წ. 20 ნოემბრამდე. შეკვეთები გამოგზავნილ უნდა იქნეს შემდეგი მისამართით: ტფილისი, კლარა ცეტკინის ქუჩა № 119, საგეგმო განყოფილება.

5829 დირექტორი ბელქანია.

განსახკომის ნებართვით იხსნება ერთი ლაინის კონსტრუქტორო-სახაზველო განხრით

ტექნიკური კურსები

(რუსული და ქართული სექტორი)

მიიღებიან 9 წლ. დამთავრებულები ან და რომელნიც ჩააბარებენ გამოცდებს 9 წლედის ფარგლებში.

კურსდამთავრებულთ ეძლევა წოდება საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოს-კონსტრუქტორის.

იქვე იხსნება 5-თვიანი სამხაზველო ჯგუფები. მიიღებიან 7-წლედ დამთავრებულები.

მისამართი: სანაპირო ქუჩა № 19, საღ. 6—9-დე.

ნ. 520 4—3

რუსთაველი თეატრის მუზეუმი იძენს ოფიციალურ ქართულ თეატრის და ხალხური თეატრების

ისტორიულ დოკუმენტებს

და მასალებს, წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ეთნოგრაფიული მიმოხილვებით და გამოკვლევებით კავკასიის და მცირე აზიის ხალხთა ცხოვრებიდან, ხალხური თეატრალობის ფოლკლორულ ჩიმუშებს, მორთულობას, იარაღებს, ნიღაბებს და მუსიკალურ ინსტრუმენტებს.

მისამართი — ტფილისი, რუსთაველის თეატრი, სალიტ.-სამუზეუმო განყოფილება.

ნ. 534

განსახკომის ნებართვით კამზადებაა

მოწაფეებს

10 დ 7 [illegible] მოწფოების თვ.

[illegible]

კარ [illegible] ქუჩა № 3ა [illegible] ოქტომბრის მახლობლად 7-9 და 4-6 ს.

4—1 82

ექიმი ს. ი. ანდრეევა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგ. სნეულებანი სპეც. ბ ლია [illegible] მიღ. სხვ. სალ 5—6-ნახ ს. ელბაქიძის დ ღმა თი № 29 (ყოფ. ვერის ხიდთან). 58 5

საქ. მ წარმოების ეკაპირობა

[illegible]

მოსანგარიშეთა დარგის მუშაკები

[illegible] ტფილისი [illegible] № 2, სართ. 3 -2, ოთ. 34. 690

კაიზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს

მათემატიკაში

და რუსულში ვასწავლი უცოდინარებს

არითმეტიკას და ბუღალტერიას

თანამდებობისათვის

პლეხანოვის. ქუჩა 25 [illegible] 1. 5 [illegible] 8—12 ს. [illegible]—8 ს. 5705 5-

ლენ-რაი განათ. განყოფილება აცხადებს, რომ განსახკომის ნებართვით გაიხსნა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები

მსმენელებს მიეცემათ შეღავათები.

განცხადებების მიღება გრძელდება საღ. 6 ს. კალინინის ქ. 51, მე-5 სკოლის შენობაში. 5840

დაკარგულია

პასპორტი ანტონინა მჟავანაძის ჩ. გ. 5834

ცოლი ანასტასია, შვილი ალექსანდრე იუწყებიან ქმრის და მამის

გიორგი ალექსანდრეს-ძე კვიკვიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. არსენალის ქ. ციმაკურიძის ჩიხი (ყოფ. არხიპოვის) № 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

მეუღლე ფიდია, შვილები: თამარი, ვანო, ალიოშა, დათიკო ოჯახობით და სულიკო იუწყებიან

ლეონტი ივლიანეს-ძე კალანდაძის

გარდაცვალებას დასაფლავება მოხდა 8 ნოემბერს.

ბაბუა ბარნაბი, ბებია ეკატერინე, ბიძები: კორნელი და ჟორა ლილით და ლიანათი, მამიდები: თამარა, თინა, სანაძეები იუწყებიან პატარა

ნოდარი სანაძის

უეცრივ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს. საბჭოს ქ. 143-ა. კუკიის სასაფლაოზე ქვ. 5839

პარტ. საბჭოთა ჯგუფის თანამშრომლები იუწყებიან ამხ. ალექსანდრე სანაძის შვილის

ნოდარის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს. გამოსვენება ბინიდან, საბჭოთა ქ. № 143ა. ქვ. 5839

ბიძები: გაბრიელი, ილარიონი და პეტრე თურმანიძეები თავიანთი ცოლშვილით იუწყებიან ძმისშვილის

მარუსია მელიტონის ასულ თურმანიძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება დღეს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ს. კომუნალური შეს № 6 ქვ. 6841

ქიათურის შავიქვის ტრესტის ტფილისის კანტორის თანამშრომლები იუწყებიან მარგანსნიბის უფროსის ამხ. ვანო ალ. მეხრიშვილის ქალიშვილის

ტატიანა მეხრიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ს. გოგებაშვილის ქ. № 3 (ყ. პეტროვის) ქვ. 5837

გიორგი იაგორის-ძე ჩანტლაძე და ილია დავითის-ძე კვანტალიანი თავიანთი ცოლშვილით იუწყებიან მათი მეგობრის

რუბენ არშაკუნის

გარდაცვალებას. ქვ. 5805

მშობლები: თამარა, გრიშა, პატარა ნოდარით, ბებია ეფროსია, ბაბუები: ვანო, გიორგი, მამიდა ელენე. ბიცოლა ლიდა შვილით ნათელა, ბიძა აკაკი იუწყებიან პატარა

რეზო იაკობაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ქვ. 5835

დედა ნინა ვასილის ასული, ძმა ვასო, რძალი ვეტა ფრანგიშვილები იუწყებიან

ეთერი ფრანგიშვილი—მესტვირიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. ბარნოვის ქ. № 38 დაკრძალვა 16 ნოემბერს 5 ს. ქვ. 5831

უახლოესი მეგობართა ჯგუფი იუწყება ვალოდია მესხის მამის

ივანე მესხის

გარდაცვალებას ქვ. 5842

მეუღლე ზაქარია, მამამთილი, სიმონ, მულები: ელენე ქმარშვილით, ქეთინო და მელიტა მესტვირიშვილები იუწყებიან

ეთერი ფრანგიშვილი—მესტვირიშვილის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. ბარნოვის ქ. 38, დაკრძალვა 16 ნოემბერს 5 ს. ქვ. 5844

დედა ოლღა, ბაბუა ალექსი, ბებია ელისაბედი, მამიდები: ანიკო, ევგენია, მარიამი, ბიძები: გრიგოლი და იოსები, სიძეები: ერმილოზ ჭუმბურიძე და ვასილ ინაური იუწყებიან.

ტატიანა მეხრიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 ს. გოგებაშვილის ქ. № 3 ვერის სასაფლაოზე ქვ 5831

მისამართები. რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 84 ტელეფონები: რედაქტორის 3-62-26, რედაქტორის მოადგილის 3-69-08, პასუხისმგებელი მდივნის 3-06-88, მასობრივი განყოფილების 3-78-24, პარტმშენებლობის განყოფილების 3-67-61, სამრეწველო განყოფილების 3-78-40, სტამბის 3-27-04 გამომცემლობის — 3-51-31. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კ[illegible]" [illegible] ქ. № 56

მთავლიტის რწმუნებული 9353